24

F75 № 6755

საქ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 202 (20548) ◆ პარასკევი, 1 სექტემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

30 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგი სხდომა. მან მოისმინა სკკპ წევრის, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ვ. ი. კაჭარავას ანგარიში იმის შესახებ, თუ რა მუშაობა წარმოებს სისტემაში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მოთხოვნებისა და „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკაში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის მუშაობის გასაუმჯობესებლად პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

აღინიშნა ზოგიერთი პოზიტიური ძვრა სამინისტროს მუშაობაში, რომლის მიზანია მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის, უსულგულო დამოკიდებულებების დაძლევა, საპენსიო და სხვა სახეობათა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

ამავე დროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ხაზი გაუსვა, რომ მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზებია. ჯერაც არ აღმოფხვრილა საქმის გაჭიანურება, პენსიონერთა მოთხოვნილებებისადმი უსულგულო დამოკიდებულება; სოციალური სამართლიანობის პრინციპებს არ შეესაბამება მათი სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარიულ-საკურორტო მომსახურება, გადასინჯვას საჭიროებს პენსიონერებისა და ინვალიდებისათვის ავტომობილების მიცემის წესი, ცუდად სრულდება სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებანი მათი შრომის ოპტიმალური გამოყენების შესახებ, არ წყდება მთელი რიგი არსებითი საკითხები, რომლებიც საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საქმიანობას ეხება. სამინისტრო საკმარისად ვერ იყენებს თავის ფართო უფლებამოსილებებს სოციალური უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში.

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, მის ქვეგანაყოფებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ ღრმად და თვითკრიტიკულად გაანალიზონ სისტემის მდგომარეობა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით მისი საქმიანობის გარდაქმნის ღონისძიებათა ქმედითობა, აღკვეთონ რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში სოციალური უსამართლობის, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ფაქტები, დაძლიონ მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი გულგრილი, უსულგულო დამოკიდებულება, მათი უფლებებისა და ინტერესების შელახვა.

ისეთი ვითარება უნდა შეიქმნას, რომ სამინისტრომ იცოდეს პენსიონერთა ცხოვრების რეალური სურათი, მათი საჭიროებანი, ყოველ ღონეს ხმარობდეს მათი ყოველმხრივი დახმარებისათვის, შეუპოვრად ებრძოდეს ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სოციალურ სფეროში ჯერ კიდევ არსებულ ბოროტმოქმედებას, ნიადაგ ზრუნავდეს აპარატის მუშაკთა მაღალი მორალური თვისებების განვითარებისათვის.

მიღებულ დადგენილებაში, რომლის შინაარსი გამოქვეყნდება, დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რესპუბლიკის მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

განიხილა რა ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის დაპროექტებასა და მშენებლობაში დარღვევებთან დაკავშირებით დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში ეკოლოგიური ვითარების გართულების საკითხი, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ რეგიონის გარემოს სერიოზული ზიანი მოუვიდა. ამ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ამუშავების ეკონომიკური ეფექტი დიდია, მაგრამ სულ ერთი არ არის, თუ რა ფასად იქნება იგი მიღწეული. ბარბაროსული დამოკიდებულება რეგიონის უნიკალური ლანდშაფტური და კლიმატური პირობებისადმი, რომელიც მდინარეების არაგვისა და თერგის აუზებს მოიცავს, უყოვლად დაუშვებელია.

სკკპ წევრს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ჭითანავას წინადადება მიეცა განიხილოს რესპუბლიკის მთავრობის ისეთი გადაწყვეტილების მომზადების შესაძლებლობა, რომელიც გაითვალისწინებს გაზსადენის მშენებლობის შეწყვეტას, სანამ არ მოეწყობა სრულფასოვანი კომპლექსური ექსპერტიზა და არ აღდგება რეგიონის ბუნებისათვის მიყენებული ზიანი, და მდინარეების არაგვისა და თერგის აუზების ნაკრძალად გამოცხადება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა პრინციპული და შემტევითი პოზიცია, რომელიც დაიკავეს მეცნიერებმა და შემოქმედმა ინტელიგენციამ, შრომითმა კოლექტივებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა არაგვისა და დარიალის ხეობათა ეკოლოგიის საკითხებში, და წინადადება მისცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მაკონტროლებელი უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობას თავიანთ ბუნებადაცვითს საქმიანობაში უფრო ფართოდ დაეყრდნონ რესპუბლიკის საზოგადოებრიობას, ამ დარგში თანამშრომლობისათვის მიიზიდონ ის პირები და ცალკეულ სპეციალისტთა ჯგუფები, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიციით. სამართლიანად მიიჩნიეს რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მოთხოვნები, რომ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებმა აუცილებლად აგონ პასუხი ზიანისათვის, რომელიც რეგიონის ბუნებას მიაყენეს.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა 1989 წლის პირველი ნახევრის შედეგებით სკკპ რიგებში მიღების ტენდენციებისა და თანამედროვე პირობებში პარტიული რიგების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების ამოცანათა საკითხი. მიღებულია შესაბამისი დადგენილება, რომლითაც პარტიულ კომიტეტებს და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ უპირველესი ყურადღება მიაპყრონ პარტიაში მისაღებთა შეხარჩევად ლია, საჯარო მუშაობას, პრიორიტეტი მიანიჭონ საუკეთესო მუშებს, სოფლის მშრომელებს, ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს, რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მარტო მეცნიერებაში, განათლებასა და კულტურაში, არამედ მატერიალურ წარმოებაშიც; სკკპ რიგებში მიღების პროცესის ყველა სტადიაზე ნორმად შემოიღონ შრომითი კოლექტივების კრებებზე პარტიაში შესვლის მსურველების განცხადებათა წინასწარი განხილვა.

განიხილეს IV საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ ასპარეზობაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და სსრ კავშირის ხალხთა X სპარტაკიადისათვის მზადების საკითხი. აღნიშნა რა ახალგაზრდულ ასპარეზობაზე რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის საერთო წარმატება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვითარდეს ფიზკულტურა, მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადება, ყოველნაირად უნდა გავზარდოთ რესპუბლიკურ ასპარეზობათა ავტორიტეტი და პრესტიჟი, ამ მიზნით პრაქტიკაში დავნერგოთ საქართველოს ღია ჩემპიონატების მოწყობა, რომლებშიც მოწვეული იქნებიან უძლიერესი სპორტსმენები სხვა რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან. უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ აგრეთვე თვალსაჩინო სპორტსმენები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი საზოგადოებრიობის ინიციატივას საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში რესპუბლიკის უშუალო მონაწილეობის თაობაზე. მასალები ამ საკითხზე გამოქვეყნდება.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება 1988 წელს წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური ნამუშევრების დანერგვის დაჩქარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-ტექნოლოგიური და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების კოლექტივთა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხიც.

საბჭოთა პარლამენტარების მიმართვა

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის პრეზიდიუმმა პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პარლამენტარებსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ისლამური საბჭოს კრების წევრებს გაუგზავნა მიმართვები იმ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეთა განთავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების პრობლემასთან დაკავშირებით, რომლებიც დატყვევებული ჰყავს ავღანეთის ოპოზიციას.

ჩვენი მთავრობა, ნათქვამია მიმართვებში, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მოძებნოს და სამშობლოში დააბრუნოს საბჭოთა ადამიანები. საბჭოთა დიპლომატიური სამსახური იყენებს გაერთიანებული ერების, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შესაძლებლობებს. აქტიურად მოქმედებს სახალხო დიპლომატია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ავღანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პაკისტანში.

მიღებული ზომების შედეგად ტყვეობიდან უკვე დავიხსენით საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეთა ნაწილი, მაგრამ დღემდე არ არის არავითარი ცნობები ავღანეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული სამასზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის თაობაზე.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის პრეზიდიუმმა პაკისტანელ და ირანელ კოლეგებს მიმართა თხოვნით დაეხმარონ კეთილშობილური ჰუმანური ამოცანის გადაწყვეტაში — საბჭოთა სამხედრო ტყვეების განთავისუფლებაში. ასეთი დახმარება, ხაზგასმულია მიმართვებში, უდავოდ პოზიტიურ გავლენას მოახდენს ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე, ურთიერთგაგებისა და „თანამშრომლობის გაფართოებაზე.

მშენებლობა: სიახლე, პერსპექტივა

შენდება ახალი სადგური

სულ უფრო ღონივრდება და იზრდება თბილისის მეტროპოლიტენი. მომავალი წლის მიწურულს მგზავრებს მიიღებს მისი კიდევ ერთი ახალი სადგური „ბახტრიონი“. სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს „თბილისგვირაბმშენის“ № 32 საგვირაბო მშენებლობის შახტი (უფროსი — ო. ქელიძე).

დღეისათვის უკვე დამთავრებულია სადგურ „ვაჟა-ფშაველას“ მხარეს ახალი სადგურის მარცხენა და მარჯვენა გადასარბენი გვირაბების მშენებლობა. მიმდინარეობს „ბახტრიონის“ გვირაბის სამშენებლო სამუშაოები. გაყვანილია კიდევ 250 გრძივი მეტრი გვირაბი. მარცხენა გვირაბზე დამონტაჟდა ბლოკის ამწყობი, შესასრულებელია ძაბვის მოსაწესრიგებელი ქვესადგურის მშენებლობისა და ავტომატური მარეგულირებლის დადგმის სამუშაოები.

სურათზე: მოწინავე გვირაბგამყვანები ტარიელ ქამაკაშვილი და გელა გოგიშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის („კომუნისტი“) ფოტო.

სიტყვა პარტიის ეროვნულ პლატფორმაზე

ნამდვილი თანასწორობა

ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისას პარტია ემყარება არსებული ობიექტური და სუბიექტური პირობების ანალიზს. ქვეყნად შექმნილი რთული სიტუაციის დასაძლევად უპირველესად საჭიროა პარტიის მეცნიერული პოლიტიკა, რომელიც შეძლებისდაგვარად ასახულია პროექტში. საჯარო, კოლექტიური განხილვის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იგი მიიღებს სრულყოფილ სახეს. ჩემი აზრით, პლატფორმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები.

საჭიროდ მიმაჩნია მორიგმა პლენუმმა ყურადღება დაუთმოს ლენინის პრინციპულ მოთხოვნას, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ უგულებელყოფილ იქნა. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1922 წლის) პლენუმზე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, ლენინი თავის „ბარათში პოლიტბიუროსადმი დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ“ წერდა:

„ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. როგორც კი განვთავისუფლდები ამ წყეული კბილისაგან, ჩემივე სალი კბილებით დავგლეჯ მას.

საჭიროა აბსოლუტურად დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ:

რუსი,
უკრაინელი,
ქართველი და სხვ.
აბსოლუტურად!“.

და კიდევ აირჩიეს პირველ ყრილობაზე (1922 წლის დეკემბერი) ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოთხი თავმჯდომარე, რესპუბლიკების რიცხვის მიხედვით. იმისათვის, რომ დღეს დაჩქარდეს გამწვავებული ეროვნული ურთიერთობების გამოსწორება, ხომ არ აჯობებდა აღგვედგინა ლენინის ეს მოთხოვნა და აგვერჩია 15 თავმჯდომარე?

ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია, პლენუმმა განიხილოს იმის შესაძლებლობა, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გარდა გენერალური მდივნისა ჰყავდეს კიდევ 15 მდივანი, რესპუბლიკების მიხედვით (ისინი ეროვნული პრობლემების გარდა უხელმძღვანელებენ სხვადასხვა დარგს). ეს მოგვცემს მეტ შესაძლებლობას განხორციელდეს პლატფორმის პროექტის მოთხოვნა, რომ საჭიროა დროულად გამოვეხმაუროთ ეროვნებათა შორის ურთიერთობათა სფეროში წამოჭრილ პრობლემებს, მივაგნოთ კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტის ეფექტიან მექანიზმებს.

ასეთი რადიკალური ღონისძიების განხორციელება ნამდვილად ღირს, რადგანაც დღევანდელი გამწვავებული მდგომარეობის დიდი ხნით გაჭიანურება მოუთმენელია, მსოფლიო მასშტაბითაც იგი დიდ ჩრდილს აყენებს სოციალიზმის ავტორიტეტს.

აჯობებს მრავალეროვან მოკავშირე რესპუბლიკებში, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების პარტიული კომიტეტების აპარატებში შეიქმნას სპეციალური განყოფილება, რომელიც იმუშავებს ეროვნულ საკითხებზე. იგი უნდა დაკომპლექტდეს საუკეთესო პარტიული კადრებით, რომელთაც ექნებათ არა მარტო თეორიული ცოდნა და პოლიტიკური მომზადება, არამედ მასების დარწმუნების უნარიც.

პლენუმზე განსახილველი პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტში გათვალისწინებულია მრავალი ახალი ღონისძიება, რომელთა პრაქტიკული განხორციელება ნამდვილად ხელს შეუწყობს ერებს შორის გამწვავებული ურთიერთობის გამოსწორებას, თანაბარუფლებიანობის განმტკიცებას.

რაჟდენ ჯინჯოლია,
ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე, დოცენტი.

ფიზკულტურა და სპორტი ერის ჯანმრთელობაა

საქართველოს სახელგანთქმულ სპორტსმენებს ღირსეული ცვლა ეზრდებათ. ეს დაადასტურეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ახალგაზრდობის IV საკავშირო სპორტულ ასპარეზობაზე. მათ მოიპოვეს 61 ჯილდო, აქედან 19 ოქროსი, 18 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი. საბოლოო ანგარიშით საქართველოს დელეგაციამ საპატიო მეექვსე ადგილი დაიკავა და მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა წარმატებულ მაჩვენებლებზე სსრ კავშირის ხალხთა X სპარტაკიადის ცხრილში, რომლის ჩათვლაში შედის დამთავრებულ ახალგაზრდულ სპორტულ ფორუმზე გამოსვლის შედეგებიც. ეს ითქვა 30 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ახალგაზრდობის საკავშირო ასპარეზობის გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან, მათ მწვრთნელებთან გამართულ შეხვედრაზე.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ქართული სპორტის ვეტერანები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დღეს საქართველოს მცხოვრებნი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს ყველა იმ მოვლენას, რომლებიც როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, მჭიდროდ უკავშირდება ქართველი ხალხის ინტერესებს. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის შედეგად წინა პლანზე დადგა ხალხების თვითშეგნების, ეროვნული თვითშემეცნების, ცხოვრების ყველა სფეროში თვითგამოხატვისადმი მისწრაფების ზრდა. ამას ხელს უწყობს არა მარტო სამშობლოს სიყვარული, მაღალი სულიერი განწყობა და კულტურა, დაუცხრომელი ბრძოლა და აღმშენებლობა, მუხლჩაუხრელი შრომა, არამედ ფიზიკური ჯანმრთელობაც, წრთობაც, როგორც წარმატებათა ერთ-ერთი საწინდარი. ამიტომ ახალგაზრდა სპორტსმენთა გამარჯვებები ბევრად ზრდიან საერთო განწყობას რესპუბლიკაში, განამტკიცებენ ადამიანების რწმენას საკუთარი თავის, მათი მომავლისადმი.

საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები ყოველთვის თვლიდნენ თავს მის შვილებად და არაერთხელ დაუმტკიცებიათ ეს მისი საკეთილდღეო საქმეებით. აი, ამჯერადაც ახალგაზრდულ ასპარეზობაზე მოპოვებულ საერთო წარმატებაში ქართველებთან ერთად თავიანთი წვლილი შეიტანეს აფხაზებმა, ოსებმა, რუსებმა, ბერძნებმა, სომხებმა, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა, რომლებსაც აერთიანებდა პატრიოტიზმი, თავდადება და ერთსულოვნება.

ყველამ ერთად მოიპოვა 43 მედლით მეტი, ვიდრე წინა ახალგაზრდულ ასპარეზობაზე. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ძიუდოისტებმა, მოჭიდავე გოგონებმა, სინქრონული ცურვისა და მშვილდოსნობის წარმომადგენლებმა, აკრობატებმა, წყალმოთხილამურეებმა, ბატუტზე მხტომელებმა, ჩოგბურთელებმა, წყალმხტომელებმა, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა და ფეხბურთელებმა. აღსანიშნავია, რომ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს საერთაშორისო ასპარეზზეც. საბჭოთა სპორტსმენებს შორის პირველი ევროპის ჩემპიონი სინქრონულ ცურვაში გახდა ქრისტინე ფალასინიძე, მეორედ მოიპოვა ეს ტიტული წყალმხტომელმა გიორგი ჩოგოვაძემ, კონტინენტზე უძლიერესი გახდა წყალმოთხილამურე ხათუნა კორკელიაც, სრულიად ნორჩი მოჭადრაკე დიანა დარჩია კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა თანატოლებს შორის. ყოველივე ეს იმ ტრადიციების შედეგია, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს შესანიშნავმა სპორტსმენებმა — ნონა გაფრინდაშვილმა, ნინო დუმბაძემ, მზია ჯუღელმა, გივი კარტოზიამ, რობერტ შავლაყაძემ, ვახტანგ ბალავაძემ, ვიქტორ სანეევმა და მრავალმა სხვამ. ეს სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების დაუცხრომელი შრომის შედეგია.

შეხვედრაზე აღინიშნა საქართველოს სახელოვანი ოლიმპიური ტრადიციებიც, რომლის წარმომადგენლებმა 1952 წლიდან 1988 წლის ჩათვლით მოიპოვეს ოლიმპიადების 84 ჯილდო, აქედან 28 ოქროსი. ეს შეშურდება მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანას. რესპუბლიკის სპორტსმენთა ახლანდელ თაობებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი მიღწევები საქართველოს ისეთივე სავიზიტო ბარათია, როგორც წარმატებები საქმიანობის ნებისმიერ სხვა სფეროში, რომლებიც მიღწეულია პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის, ორგანიზებულობის წყალობით.

მაგრამ მედლების მოპოვება თვითმიზანი არ უნდა გახდეს. მთავარია სპორტის ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი და, მაშასადამე, ერის ჯანმრთელობა. ამასთან დაკავშირებით ორატორებმა თქვეს, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოიყენება ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შესაძლებლობები, ჯერ კიდევ სუსტია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის სასწავლებლებში, ნაკლებად ეწყობა საინტერესო სპორტული ასპარეზობები, რომლებსაც შეეძლოთ ჯანსაღი დასვენების სურვილი აღუძრან მოსახლეობის ფართო მასებს, საკმარისი ყურადღება არ ეთმობა სპორტის ეროვნულ სახეობებს. აღინიშნა, რომ სახელგანთქმულ სპორტსმენთა მოვალეობაა მშობელ ხალხს განუვითარონ საერთო-ეროვნული, მასობრივი ჯანმრთელობისადმი სწრაფვა, ეძებონ ახალი ფორმები და მეთოდები, დანერგონ ისინი ცხოვრებაში.

სწორედ ამ და სხვა პრობლემებზე, საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საჭიროებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პრობლემების გადაჭრას, ილაპარაკეს შეხვედრაზე რესპუბლიკის სპორტსაკომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვახტანგ მახარაძემ, საერთაშორისო დიდოსტატმა ქეთევან არახამიამ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ, წარსულში ცნობილმა სპორტსმენებმა ვახტანგ ბალავაძემ და რუსუდან სიხარულიძემ, საქართველოს სახტელერადიოს თავმჯდომარემ არჩილ გოგელიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გიორგი ჭანტურიამ, საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორმა ომარ გოგიაშვილმა. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა კი გზა დაულოცა თავის უმცროს ამხანაგებს სპორტში, როგორც მომავალ ოლიმპიელებს, 1992 წლის ოლიმპიური ასპარეზობის პოტენციურ მონაწილეებს. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

თბილისის პირველი მაისის რაიონის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისისა და ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალ დეპუტატთა ხელახალი არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად, დაინიშნოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალ დეპუტატთა ხელახალი არჩევნები თბილისის პირველი მაისის რაიონის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისისა და ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის საარჩევნო ოლქებში კვირას, 1989 წლის 1 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 31 აგვისტო.

გადამამუშავებელი მრეწველობა: სიძნელეები და პრობლემები

სიმძლავრეები არის, ნედლეული კი...

ანუ „უსაკვებოდ“ დარჩენილი გიგანტის გასაჭირი

მეორე წელია, რაც გარდაბნის საკონსერვო ქარხანა „გარდაბნის“ აგროკომბინატის ერთ-ერთი საწარმოო ქვეგანაყოფი გახდა. მაგრამ, სამწუხაროდ, აბრის შეცვლით ქარხნისთვის არავითარი სასიკეთო ცვლილებები არ მომხდარა: მისი სიმძლავრენი, რომლებსაც დღე-ღამეში ათას ტონაზე მეტი მარტო პამიდვრის გადამუშავება შეუძლიათ, უნედლეულოდ კვლავინდებურად „შიმშილობენ“.

— ყველაზე ცუდი ის არის, რომ მაინცდამაინც არც მომავლის იმედი გვაქვს, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა არჩილ ბახტაძემ. იდეა თავისთავად შესანიშნავია. მის მიხედვით აგროკომბინატმა, როგორც საერთოდ არის ცნობილი ამგვარი კომპლექსური საწარმოს „ყუბანის“ გამოცდილებიდან, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აგროკომბინატი „გარდაბანი“ და მასვე დაუმორჩილდა ჩვენი ქარხანაც, უნდა მოიწიოს, გადაამუშაოს და გაყიდოს კიდეც სოფლის მეურნეობის პროდუქცია. გარდაქმნა გვიკარნახებს დავადგეთ მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგების სწორედ ასეთ, ყველაზე ეფექტიან გზას. მაგრამ ადგილობრივ პირობებში გაუთვალისწინებელი დარჩა ბევრი სხვადასხვა გარემოება. მთავარი ის არის, რომ გარდაბნის აგროკომპლექსმა მრავალი წლის მანძილზე ვერ მოახერხა ჩვენი საწარმოს სრულად დატვირთვა. პიკის დღეებში ქარხანა გადასამუშავებლად იღებს მარნეულელ, საგარეჯოელ, მცხეთელ მებოსტნეთა მიერ მოწეულ ნედლეულსაც. ამის მიუხედავად, ნედლეულის შემოტანის მხრივ ყველაზე რეკორდულ დღეებშიც კი, იმდენი პამიდორი მაინც არ შემოდის, რამდენის გადამუშავების ძალაც შეგვწევს.

ერთი სიტყვით, მეგობარი უნგრეთის რესპუბლიკიდან შემოტანილი ორი მაღალეფექტიანი მოწყობილობა, რომელიც უწინარეს ყოვლისა პამიდვრის გადასამუშავებლად არის განკუთვნილი და თითოეულის სადღეღამისო სიმძლავრე 500 ტონა პამიდორია, აგრეთვე ლანგის ხაზი, რომელიც 160 ტონის სიმძლავრისაა და პამიდვრის თესლსაც უმზადებს ნაზარლოსა და ულიანოვკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობებს, გარდაბნის საკონსერვო ქარხანაში პირდაპირი დანიშნულებით წელიწადში მხოლოდ ერთნახევარ-ორ თვეს თუ გამოიყენება. დანარჩენ დროს ისინი „ისვენებენ“ და მათი მოვლა საკმაო თანხებთან არის დაკავშირებული. თუ ამ მხრივ ძნელია გამოსავლის მონახვა, იმას რა უშლის ხელს, აგროკომბინატმა თავისი ნაწარმი თავისივე მარკით თვითონვე გაასაღოს და საამისოდ საკუთარი საფირმო მაღაზიაც ჰქონდეს? ამ გზით, ჯერ ერთი, მკვეთრად გაუმჯობესდება აგროკომბინატის საფინანსო მდგომარეობა, მეორეც, ქარხნის შრომითი კოლექტივი კიდევ უფრო მეტად დაინტერესდება დამზადებული პროდუქციის ხარისხით. ამას მოითხოვს ფირმის ავტორიტეტის ინტერესები. თუმცა საწარმოს მიერ გამოშვებულ მრავალნაირ კვების პროდუქტებს: ტომატ-პასტას, სხვადასხვა მარინადს, წვენებს, ბოსტნეულის კონსერვებს და ა. შ. წუნს ვერავინ დადებს, მას მომხმარებელი დაეძებს მაღაზიებში. იგი საქართველოს ყველა კუთხეში იგზავნება.

შექმნილი სიძნელეების მიუხედავად გარდაბნის საკონსერვო ქარხანა რესპუბლიკაში დარგის საწარმოთა შორის მაინც მოწინავე და მომგებიანია. ქარხნის ბუღალტერიაში ასეთი ცნობა მოგვაწოდეს: მიმდინარე წლის შვიდ თვეში ქარხანას 3.400 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოეშვა, ფაქტობრივად კი 4.284 მანეთის პროდუქცია დაამზადა. საგეგმო 3.040 ათასის ნაცვლად გამოშვებულია 3.218 ათასი მანეთის „ბ“ ჯგუფის პროდუქცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქარხანამ მოუსავლიანობის გამო დაპირებული 300 ტონა კურკოვანი ხილიც ვერ მიიღო, ადვილი წარმოსადგენია ამ მხრივაც რა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა იგი. მაგრამ ქარხნის კოლექტივმა ივაჟკაცა, გამონახა დამატებითი რეზერვები. მაგალითად, აქ ამუშავებენ თესლოვან ხილს ან წვენების ნახევარფაბრიკატებს, გაზარდეს აგრეთვე ასორტიმენტიც, რის შედეგადაც მცირდება საკონსერვო ქარხნის აგრეგატების სამსახურების ვადა. სხვანაირად აქ ვერც მოიქცეოდნენ: საწარმოს კოლექტივი, რომელიც ძირითადი სპეციალობის 300 მუშაკს აერთიანებს (პიკის პერიოდში ეს მაჩვენებელი ხუთასამდე იზრდება), უსაქმოდ დარჩებოდა, ე. ი. სარგებლიანობა ორმხრივია: საწარმოს მოგებაც იზრდება და მეტი მუშახელიც არის დასაქმებული.

საკონსერვო ქარხნის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია მეურნეობებიდან ხარისხიანი პროდუქციის მიღებით. მაგრამ აქ უბრალოდ კი არ ელოდებიან, თუ როდის შემოვა ასეთი ნედლეული, არამედ თავადაც მონაწილეობენ პრაქტიკულად ამ საქმეში. მეურნეობებს იმასაც კი უკარნახებენ, რომელი ჯიშია მათთვისაც და საწარმოსათვისაც უმჯობესი და ურჩევენ მოიყვანონ იგი. მაგალითად, დასაკონსერვებლად უბადლოა „ნოვიჩოკის“, „ლებეჟინსკის“, „კროხის“ ჯიშის პამიდორი, რომლებიც უხვმოსავლიანობითაც გამოირჩევა. მეკონსერვეებმა ურჩიეს ბევრ მეურნეობას მისი მოყვანა. სარგებელი მართლაც დიდია.

ქარხნის გამართულ მუშაობას აფერხებს ზოგიერთი საკითხის მოუგვარებლობაც. მართალია, იგი ფორმალურად „გარდაბნის“ აგროკომბინატში შედის, მაგრამ ფაქტობრივად მას კვლავაც მრავალი უფროსი ჰყავს. საქმე ის არის, რომ ნედლეულის ფონდებს იგი ძველებურად კვლავ საქსახაგრომრეწვის საკონსერვო მრეწველობის სამმართველოდან იღებს. ტარით მას ამავე კომიტეტის ტარის რესპუბლიკური გაერთიანება უნდა ამარაგებდეს, მაგრამ ამ მხრივ მხოლოდ სანახევროდ კმაყოფილდება ქარხნის მოთხოვნილება. ამ ცხარე პერიოდში აქ ყველანაირი ტარა უჭირთ, მაგრამ როცა საწარმოში მივედით, სამლიტრიანი ქილები სრულებით აღარ ჰქონდათ. არადა, მასზე პიკის პერიოდში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა, რათა დროულად დახუფონ და გაგზავნონ გადამუშავებული პროდუქცია. საქმე ის არის, რომ მცხეთის რაიონის ქსნის მინის ტარის ქარხნის სიმძლავრეების მესამედიც არ არის დატვირთული, რის გამოც იგი დიდი რაოდენობით ტარას აკლებს გარდაბნელებს. ქუთაისის მინის ტარის ქარხანაზეც უნდა ვთქვათ სამდურავი: მის მიერ გამოშვებული ქილები უხარისხოა და ადვილად იმტვრევა. განსაკუთრებით ვერ უძლებს ტომატ-პასტას. ამით საწარმო დიდად ზარალობს, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების, სამეურნეო ანგარიშის ახლანდელ პირობებში კი ყოველ კაპიკს გაფრთხილება სჭირდება. ორჯონიკიძის, ბრიანსკის, კამიშინის მინის ტარის საწარმოებშიც აქვს ტარის ფონდი გამოყოფილი გარდაბნის საკონსერვო ქარხანას, მაგრამ პირდაპირ ტანჯავენ პარტნიორები, ჭირჭირობით საგეგმოს ნახევარსაც ვერ აწვდიან. რკინიგზის მუშაკებიც სცოდავენ, ცუდი ტრანსპორტირების გამო ადგილზე დიდი რაოდენობით დამსხვრეული ტარა მოდის.

— ახლახან ქ. კამიშინიდან მივიღეთ ორი ვაგონი ქილა. 30 ათასი ცალიდან 7 ათასი დამტვრეული იყო, — გულისტკივილით გვითხრა ქარხნის ტარის საამქროს უფროსმა აბრამ ნოზაძემ.

ერთი სიტყვით, პარტნიორთა უყაირათობა გარდაბნელ მეკონსერვეებს დიდად უშლით ხელს. მინის ტარის მწვავე დეფიციტს ამჟამად ე. წ. გოფრირებული ყუთების დეფიციტიც მიემატა, რომელშიც მზა პროდუქცია იწყობა. აღნიშნულს ენგურის ცელულოზა-ქაღალდის გაერთიანებიდან იღებენ. წინათ საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ახლანდელმა გაფიცვებმა ხელი შეუშალა საქმეს, შეფერხდნენ დამკვეთები.

ორიოდე დღე და, ტარის უქონლობის გამო შეიძლება ქარხანა გაჩერდესო, გულისტკივილით გვითხრეს ქარხნის სპეციალისტებმა. თავად კი ყოველნაირად ეძებენ გამოსავალს, მომხმარებლებიდან იბრუნებენ ტარას, რომლის დასუფთავებას დიდი შრომა სჭირდება, მაგრამ არც ამისათვის იშურებენ ძალ-ღონეს. ერთი სიტყვით, ქარხანა სერიოზულ დახმარებას საჭიროებს როგორც საქსახაგრომრეწვის, ისე აგროკომბინატ „გარდაბნის“ ხელმძღვანელობისაგან, რათა სიძნელეებს თავი დააღწიოს და მუშაობის ნორმალური პირობებიც ჰქონდეს. შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილება კი ასეთია: ენერგიის დაუშურებლად იშრომონ, რათა გამოუშვან 40 მილიონი პირობითი ქილა მაღალხარისხოვანი კონსერვი, მიიღონ 2,5 მილიონი მანეთის მოგება, ღირსეული წვლილი შეიტანონ ძვირფასი კვების პროდუქტებით მშრომელთა მომარაგების საქმეში. საწარმო ამჟამად მზად არის სამცვლიანი მუშაობისთვისაც, ოღონდ საჭირო ნედლეული იყოს.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კურორტი და დამსვენებელი

ჯერ აბასთუმანს ვუშველოთ!

ბიჭები მესხეთს დარაჯობენ

სხვისი რა მოგახსენოთ, ქართველისთვის კი თავისი მშობლიური მიწა ჭეშმარიტად ფასდაუდებელი განძია. საუკუნეობით ათას ჭირ-ვარამში გამოტარებული ჩვენი ერი, ყოველგვარ სიძნელეს იტანდა, ოღონდ მამა-პაპურ მიწაზე ეცხოვრა. იგი ძლიერი ქვეყნების ხიზნობას, ანუ იქ ცხოვრებას ყოველთვის ერიდებოდა. როდესაც მშობლიურ მიწაზე იდგა, თითქოს ბერძნული მითოსის გმირივით ძალა ემატებოდა, ამგვარმა გრძნობამ და გამზრდელი მიწისადმი ერგულებამ შემოუნახა ქართველს საქართველო. თუმცა ეპოქა არ ყოფილა, მტერი არ ყოლოდა ვერაგი და დაუნდობელი.

დღესაც მშობლიური მიწის დაცვის პრობლემაზეა აგებული უდიდესი ქვეყნებისა და ერების სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. იგივე უნდა ითქვას ჩვენს პატარა რესპუბლიკაზეც. დრომ და ვითომ უდარდელმა ხანამ, ეროვნული ძარღვი მოადუნა და როცა ოდნავ გამოვფხიზლდით, დავინახეთ, რომ თურმე ძალიან ბევრი რამ დაგვიკარგავს: მთლად ისე არ გვიცხოვრია, როგორც საქართველოს მომავალს მოუხდებოდა, ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს სჭირდება. ჩვენ კი გვეგონა, რომ თუ შვილს სახლს ავუშენებდით, ძვირფასი ავეჯით გავუწყობდით, მანქანას ვუყიდდით, ამით მის მომავალს უზრუნველვყოფდით. მწარედ კი შევცდით. ყოველივე „სიკეთე" თითქოს მოვუმზადეთ ჩვენს შვილებს, მაგრამ მათივე საცხოვრებელი მიწა ათასგვარი მავნე ქმედებით რომ შევამცირეთ? ვაი, გონების რა მცირე ჰორიზონტი გვქონია. ქართველის მარჩენალი ყოველთვის მიწა იყო და მჯერა, რომ მარადჟამს იგი იქნება ჩვენი იმედი.

ეს ფიქრები თავისდაუნებურად დაებადება ყველა ქართველს, ვინც ფეხს მესხეთის მიწას დააბიჯებს.

გზაჯვარედინებზე, გადასასვლელებზე ახალგაზრდები დგანან და მანქანებს ამოწმებენ.

ფარეხშიც გაგვაჩერეს. ზედ იქ, სადაც პლაკატია გაკრული და ვკითხულობთ „წინააღმდეგნი ვართ საქართველოში თურქების შემოსახლებისა". ეს მშვენიერი ახალგაზრდები, იმიტომ ფხიზლობენ, რომ ეგრეთწოდებული „თურქი-მესხები" არ შემოიპარონ. მესხეთის მიწაზე მცხოვრებნი აღშფოთებულნი ლაპარაკობენ იმათზე, ვინც ოდესღაც აქედან აუყრიათ. ამ ტრიალ დედამიწაზე არ არსებობს ეროვნება „თურქი-მესხი", აქაურ მცხოვრებთ ახსოვთ, რომ აქედან გაასახლეს ქართველთა ამწიოკებლები. მათთვის თავიდანვე უცხო იყო საქართველოს ბედ-იღბალი, მითუმეტეს რა გამართლება აქვს მათ ჩამოსახლებას ახლა, როცა ოთხ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა და თვითონვე აცხადებენ, ქართველები არა ვართო. როგორ შევიფაროთ ახლა ჩვენთვის უცხო ხალხი, როცა საცხოვრებელი მიწა არ გვყოფნის? ვთქვათ ადიგენის რაიონში, სულ 4350 ჰექტარი სახნავი ფართობია და 22 500 მოსახლე ცხოვრობს. ეს ორი ციფრი იმიტომ მოვიშველიეთ, რომ გითხრათ ყოველი ადიგენელი მხოლოდ იმ მიწას მეოთხედს ფლობს, რაც საკავშირო ნორმად არის მიჩნეული.

ვინმეს რომ მესხები გაუტანელი და ძუნწი ხალხი არ ეგონოს, შევახსენებთ, რომ უკანასკნელ წლებში ადიგენელებმა აჭარელთა 800-ზე მეტი ოჯახი შეიფარეს და იმის, რამეთუ მშვენივრად იციან, რომ მესხებიც და აჭარლებიც ქართველი ძმები არიან. მესხებს არ ენანებათ, რომ მოძმეს გაჭირვებაში უნდა მიეხმარო. ახლაც 30 საცხოვრებელი სახლი შენდება სტიქიით დაზარალებული აჭარლებისათვის. ადიგენის რაიონის მშრომელები წუხან, რომ მშენებლობა ჭიანურდება, ზამთარი არც ისე შორს არის და უსახლკაროთა დაბინავება უნდა დაჩქარდეს.

და ეს მაშინ, როდესაც ადიგენის რაიონში ადგილობრივ 500 ახალგაზრდა ოჯახს დღესვე სჭირდება სახლი და ჯერ-ჯერობით მათი დაკმაყოფილება არ ხერხდება სასახლკარე მიწის ფონდის უქონლობის გამო.

საქართველოს მიწა-წყალი მტერსა და მოყვარეს მოსწონს, მაგრამ ჩვენ, მისმა შვილებმა ხომ უნდა ვიცოდეთ მამულის ფასი? ვიცი ახლა მრავალი გვიკიჟინებს, რას ქვია ჩვენი სამშობლოს ფასი არ ვიცითო? ამიტომ რაკი ადიგენის რაიონზე დავიწყეთ საუბარი, ბარემ აბასთუმანში შევიაროთ და დავრწმუნდეთ, თუ რას დავამსგავსეთ ეს თვალსაჩინო კურორტი, ნამდვილი წალკოტი.

სად გაქრა „უკვდავების წყალი"?

თბილისიდან დასავლეთით 300 კილომეტრზე, აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთ კალთებზე, მთის პატარა მდინარე ოცხის ნაპირას მდებარეობს დაბა აბასთუმანი, რომელიც ყოველთვის განთქმული ყოფილა, როგორც იშვიათი კლიმატური პირობების სამთო კურორტი. დღესაც საბჭოთა კავშირში აბასთუმანი ერთ-ერთი საუკეთესო კურორტია. დაბალი ატმოსფერული წნევა, მზის ულტრაიისფერი სხივების აქტივობა, მთისთვის იშვიათი, უმნიშვნელო ტენიანობა, სუფთა და გამჭვირვალე ატმოსფერო, ვაბურული წიწვიანი ტყეები ქმნიან ოპტიმალურ პირობებს ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობისათვის. აქვე კურორტზეა ქლორნატრიუმსულფატკალციუმიანი უძვირფასესი სამკურნალო წყლები.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ შვეიცარიაში არის სახელგანთქმული ტუბერკულოზური კურორტები ლეიზენისა და დავოსისა. კარგი კურორტია პოლტავის ოლქში, ცნობილია აგრეთვე ყირიმის ტუბერკულოზური სანატორიუმი კურორტი თებერდა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კურორტ აბასთუმნის ბადალი არც ერთი მათგანი არ არის. ქვეყნის რომელი კუთხიდან არ მოდიან დასასვენებლად და სამკურნალოდ. ვერც ერთი სტატისტიკა ვერ გვეტყვის, თუ რამდენ ადამიანს აჩუქა სიცოცხლე ამ გარემომ.

სიტყვამ მოიტანა და ზოგიერთი მათგანი მაინც უნდა ვახსენოთ. მათ შორის გვერდს ვერ ავუვლით რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ მეორის ძმის პიროვნებას.

1899 წლის ჟურნალ „ნივაში" ვკითხულობთ, რომ როდესაც ახალგაზრდა რომანოვი ინდოეთში ფილტვების სისუსტით დაავადდა, ორი წელიწადი მკურნალობდა ალჟირში, მაგრამ უშედეგოდ. იქაურმა ცნობილმა მკურნალებმა დიდ თავადს ურჩიეს კავკასიაში, კონკრეტულად კი აბასთუმანში ემკურნალა.

იგი, რომანოვი, ჩამოვიდა აბასთუმანში და აქ ცხოვრობდა. დღეს მისეული სასახლე პირდაპირ სამუზეუმო ექსპონატია. გამძლე და ძვირფასი ხისაგან აგებული სახლი საფრანგეთში დაუმზადებიათ. ხოლო აბასთუმანში ჩამოტანილი ისე აუგიათ, რომ ერთი ლურსმანიც არ უხმარიათ. ერთობ დახვეწილი არქიტექტურით არის სახლი აშენებული, მერე როგორ მშვენივრად ერწყმის იგი გარემოს, ლანდშაფტს. სასახლე მართლაც რომ სამუზეუმო ექსპონატია. ყოველი ფილა, პარკეტი, კედელი, ბუხარი, კარი თუ ფანჯარა უნიკალურია. თავგამოდებული ზღვაოსანი ყოფილა მეფისწული, მისეული სახლიც არქიტექტორებს ისე გაუაზრებიათ, რომ შორიდან მშვენიერ ხომალდს გავს. ოღონდ ეგ არის, ჩვენს დროში პირველი სართულის ჭერზე ნაფოტები მიუჭედებიათ და მერე გაულესიათ. გარედანაც სახლე მოყამული, მუქი ფერებით შეუღებიათ. ყოველივე ისეთ უმსგავსოებად მოსჩანს, რომ არ შეიძლება არ შეწუხდეთ. იქვე სასახლესთან აუშენებიათ უბადრუკი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც მთელი ლანდშაფტი დაუმახინჯებია, ხოლო გარემო ღორღითა და ნაგვით არის ავსებული.

ეზოში ორი მსხვილი მილით მოჩხრიალებს მშვენიერი სასმელი წყალი. ლამაზად გაუფორმებიათ წყარო. დღესაც არავინ იცის, საიდან იღებს წყალი სათავეს. კიდევ კარგი, თორემ მასაც იგივე დაემართებოდა, რაც სამკურნალო წყლებს მოუვიდა.

რომანოვისთვის აქ აბანოც აუშენებიათ, იშვიათი გემოვნებით გაუკეთებიათ ყოველივე, სამწუხაროდ, დღეს ყველაფერი უბადრუკად გამოიყურება. დანგრეულ-გაპარტახებულია ნაგებობაც და ეზოც. მაშინდელი წყალგაყვანილობა გვეუბნება, რომ აქ ოდესღაც სამი სახის სამკურნალო წყლით მკურნალობდნენ. ერთს დევისწყალი ერქვა, მეორეს—გველისწყალი, მესამეს — ოქროსწყალი. ჩვენი დაუდევრობითა და ბედოვლათობით ორი წყარო დაიკარგა და ერთიღა მოწანწკარებს. ამბობენ, ის წყლები ალბათ უკვდავებისა იყოო — „თათრები" მოდიოდნენ და ერთ ბოთლ წყალში ერთ ცხვარს იძლეოდნენო. ამის მოწმენი და მხილველები დღესაც ცხოვრობენ აბასთუმანში. იმასაც ამბობენ, იმ წყლების მოძებნა დღესაც შეიძლებაო, ალბათ, ასეც არის, მაგრამ ყველაფერს გულშემატკივარი ჭირდება, პატრონი კი არ ჩანს.

მეფის შთამომავალზე თურმე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ცნობილ ზარზმის მონასტერს. მისი სურვილის თანახმად მონასტერი შეუკეთებიათ, ხოლო თვითონ აბასთუმანში კი დიდმა თავადმა აშენებინა ზუსტად ზარზმის მონასტრისთანა, ოღონდ შედარებით მცირე — ალექსანდრე ნეველის სახელობის მონასტერი, რომელიც „ახალ ზარზმადაც" იწოდება. გემოვნებიანი უფლისწულის მოთხოვნით ქართული ორნამენტებითა და ჩუქურთმებით შეუმკიათ ტაძარი, შესასვლელი კარის თავზე ქვაში ამოკვეთილია ვაზის ჯვარი, ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი და ახლობელი.

„ახალი ზარზმის" ტაძარი ცნობილ რუს მხატვარს გიორგი ნესტეროვს გაუფორმებია. ფრესკები დღესაც ცოცხალი ადამიანებივით შემოგვცქერიან, ოღონდ ნახატები აქერცლილია, რაც დაუყოვნებლივ რესტავრაციას ითხოვს. თურმე რაღაც უნიკალური ცენტრალური გათბობა ჰქონია ამ ტაძარს. იგი უზრუნველყოფდა ზომიერ სითბოს. მერე როცა ეკლესია-მონასტრები აღარ ჭირდებოდათ, მის გათბობაზე ვინ იფიქრებდა. ამიტომაც სალოცავებმა ყინვას ვეღარ გაუძლო და ფრესკები დაზიანდა.

საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველომ ტაძრის რესტავრაციისათვის თანხები გამოყო; შარშან რუსი მხატვრები მუშაობდნენ აქ, მაგრამ წავიდნენ და აღარც გამოჩენილან. როგორც ამბობენ ან გასამრჯელო ეცოტავათ, ან ფიქრობენ, რომ ჯერ უნიკალური ცენტრალური გათბობა უნდა აღსდგეს და ტაძარი მერე მოიხატოს. ასეთი უთავბოლობა რა თქმა უნდა, დასანანია, მაგრამ ბეჯითნი და გულშემატკივარნი რომ ვყოფილიყავით, იმდენი მაინც უნდა მოგვეხერხებინა, გაკეთებულს თუ ვერას მივუმატებდით, არსებული მაინც შეგვენარჩუნებინა.

სასახლის ბედი კი დღესვე უნდა გადაწყდეს. მისი ახლანდელი ექსპლოატაცია ყოვლად გაუმართლებელია. იგი სტაციონარული მკურნალობისათვის მოუხერხებელიც არის. განა არ შეიძლება ის რამდენიმე ათეული ავადმყოფი სხვა სანატორიუმებში მოვათავსოთ ხოლმე, სასახლე კი იმ შემოქმედებით კავშირს გადაეცეს, რომელიც აქაურობას უპატრონებს, მოუვლის და თავის წევრთა შემოქმედებით მუშაობაში გამოიყენებს?

ფუჭი დადგენილებების ფეიერვერკი

თითქოს გვიჭირს ჩვენი ეროვნული სიმდიდრის მოვლა და მერე მისი სწორად გამოყენება. კურორტ აბასთუმნის ცხოვრებას ვინც ჩაუკვირდება, ფრიად სამწუხარო ფაქტებს აღმოაჩენს — რაც დრო გადის, აქ ყველაფერი უარესდება. სულ ვამბობდით მშრომელთა კეთილდღეობისათვის ვზრუნავთო, მაგრამ საქმით იმდენს ვერას ვაკეთებდით. ყოველ შემთხვევაში როცა მიმოვიხედეთ, სატრაბახო ლოზუნგები უფრო ბევრი აღმოგვაჩნდა, ვინემ მშრომელთა კეთილდღეობისათვის გაკეთებული საქმე.

მარტო უფლისწულის სასახლე როდია გამონაკლისი, ომამდეც ხომ აშენდა აქ სანატორიუმების მშვენიერი კორპუსები?

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველომ 1926 წელს დაიწყო და 1928 წელს დაასრულა სანატორიუმი „ზეკარი". მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია აქ რიგიანი რემონტი არავის გაუკეთებია, იგი მაინც საუკეთესოა თავისი არქიტექტურით, მდებარეობით, პირდაპირ მზის გულზეა წამოწეული. მასიური, განიერი კედლები, მაღალი ჭერი: ერთი სიტყვით, ვინც ააშენა ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმე გააკეთა, მაგრამ რომ ვეღარ ვუვლით?

ახლა უკანასკნელ ორ ათეულ წელში აგებულ სხვა სახლებზე ვილაპარაკოთ და ისიც აღვნიშნოთ, თუ როგორ ვუვლით ჩვენს სიმდიდრეს.

სანატორიუმ „ალობილის" მესამე კორპუსი ჩვენს დროში, 60-იან წლებშია აგებული. იგი ხევში ჩაუდგამთ, მზე არსაიდან არ უდგება. პირველ-მეორე სართულზე ნესტიანი კედლებია, ამიტომ ავადმყოფები მხოლოდ მესამე-მეოთხე სართულზე ჰყავთ. შენობაში კიბით კი არ ავდივართ, ჩავდივართ. საფეხურები უკვე დანგრეულია, პარკეტი აყრილი. დაბალჭერიანი სართულებია, ეტყობა კანალიზაცია მერე გაუკეთეს და წესიერად არ მუშაობს. ასეთ საცხოვრებელში ჯანმრთელი დაავადდება ფილტვების სისუსტით. როგორ იმკურნალებს აქ ადამიანი, რომელსაც ტუბერკულოზი აწუხებს? ვითომ თუნდაც დღეს არ უნდა დაისაჯოს ის, ვინც ამგვარი პროექტი გააკეთა, ვინც იგი მიიღო და დაამტკიცა, ვინც ასე უგულოდ და უპასუხისმგებლოდ ააშენა?

თურმე, ნუ იტყვით და წინათ სანატორიუმებში ყოველგვარი მომსახურება ბევრად უკეთესი ყოფილა. „ალობილს" 14 ავტომანქანა ემსახურებოდა. დღეს აქ ორი მოძველებული მანქანა დაღოღავს. ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობაში ერთ-ერთი მთავარი პირობაა კვება. საკმარისად ჰქონიათ ავადმყოფებს რძე და რძის ნაწარმი. ახალი ხორცი, ახალი ხილი, ხმელი ხილი და სხვა მრავალი. დღეს ყველაფერი ეს გამქრალია მენიუდან. ავადმყოფებს თევზეულს კი აჭმევენ, მაგრამ ისეთს, რომ ჯანმრთელი კაციც ვერ დააკარებს პირს, თანაც ჯერ კიდევ 1960 წელს ერთი ავადმყოფის დღიური კვების რაციონი 1 მანეთი და 62 კაპიკი ღირდა. დღეს ავადმყოფები იმავე მენიუთი რომ ვკვებოთ, 2 მანეთი და 57 კაპიკი უნდა ვხარჯოთ, რამეთუ პროდუქტებზე ფასები ამდენად გაიზარდა, მაგრამ ფულის ხარჯვის ნორმა რომ არ გაზრდილა? სანატორიუმის სამნეო განყოფილება დღესაც 1 მანეთისა და 62 კაპიკის ფარგლებში უნდა ჩაეტიოს. ერთი სიტყვით, ტუბერკულოზით დაავადებულები დღეს გასარემონტებელ შენობებში ცხოვრობენ, ღარიბულად იკვებებიან. მარტო ბუნებრივი პირობები ხომ არ კმარა, ფრიად მოუწესრიგებელია დაბა აბასთუმანი, მისი იერ-სახე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. დღეისათვის დაბის კეთილმოწყობისათვის გადაუდებელი საქმეა: შენობათა ფასადების, სკვერების, სახელმწიფო და შიდა გზების საფარის რემონტი და აღდგენა. ტერიტორიების გამწვანება და არქიტექტურული ფორმებითა და ელემენტებით მათი აღჭურვა, ქუჩებისა და მოედნების განათების მოწესრიგება, დაბის ზოგიერთი ძველი შენობის აღდგენა, რეკონსტრუქცია და რესტავრაცია, მდინარე „ოცხეს" ნაპირის გამაგრება.

კურორტზე ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა საბინაო პირობები. სახლების უმრავლესობა გასული საუკუნის 80-იან წლებშია აშენებული. ბუნებრივია, რომ ისინი საცხოვრებლად მოძველებული და უვარგისია.

სერიოზული ყურადღება ჭირდება სასმელი წყლით მთელი დაბისა და კურორტის მომარაგებას. სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობა მთლიანად მოძველებულია, ფილტრები გამოსულია მწყობრიდან და ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. მოსახლეობა დაბინძურებულ წყალს ღებულობს. განა შეიძლება ეს სადმე ხდებოდეს და მითუმეტეს აბასთუმანში?

ერთი სიტყვით, კურორტ აბასთუმნის ნაკლოვანებებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, საქმე? აქ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რამდენჯერმე მიიღო ფრიად საჭირო დადგენილებები კურორტ აბასთუმნის კეთილმოწყობისა და განაშენიანების შესახებ. ასე იყო 1975 წლის 23 დეკემბერს, 1982 წლის 7 დეკემბერს, 1987 წლის 27 აპრილს. პირდაპირ დადგენილებების ფეიერვერკია, მაგრამ უკეთესობა რომ არ იგრძნობა? ჯერ კიდევ პირველი დადგენილების მიღების შემდეგ 1976-77 წლებში უნდა გაეკეთებინათ კურორტ აბასთუმნის გენერალური განაშენიანებისა და დეტალური დაგეგმარების პროექტი, მას შემდეგ 12 წელიწადი გავიდა, პროექტი კი ჯერაც არსად ჩანს. თუ „საქქალაქმშენსახპროექტი" ამდენ ხანს მოუნდა დაპროექტებას, საინტერესოა, რამდენი საუკუნე დაჭირდება მის ხორცშესხმას?

ძალიან გვინდოდა ადიგენის რაიონის ხელმძღვანელობა დაგვედანაშაულებინა, მაგრამ ეს ცხენისა და უნაგირის ანდაზის მიხედვით გამოგვივიდოდა. ადგილობრივი ხელისუფლება იქნებ სცოდავს კიდეც წვრილმანებში, მაგრამ დღეს აბასთუმნის კეთილმოწყობას ორი ათეული მილიონი მანეთი მაინც ჭირდება და ადიგენს ამის მინიმალური რაოდენობაც არ გააჩნია.

კურორტ აბასთუმნის აღორძინებას სახელმწიფო სახსრები და ძალები ჭირდება, ასე გვითხრა ერთმა დიდმა მეცნიერმა, რომელიც...

მთელ აბასთუმანს ამშვენებს

დიახ, ეს კაცი, რომელსაც მთელ საქართველოში, კავშირში, მსოფლიოში იცნობენ, თითქმის ექვსი ათეული წელია ამშვენებს აბასთუმანს. ყოველივე კი დაიწყო ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში. მაშინ გაჩნდა ტენდენცია იმისა, რომ ასტრონომიულ მეცნიერებაში, კვლევაში უფრო ფართოდ ყოფილიყო გამოყენებული ფიზიკური მეთოდები და ფიზიკური აპარატურა. ამას თავისთავად ჭირდებოდა კარგი ატმოსფერული პირობები.

1930-31 წლები. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სხვადასხვა მხარეში მიმდინარეობს ექსპერიმენტული კვლევები იმ ადგილის გამოსავლენად, რომელიც უფრო ეფექტიანი იქნებოდა ასტრონომიული დაკვირვებებისათვის. ძიებამ დაადასტურა, რომ სამისოდ აბასთუმანი ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. ამიტომ კურორტ აბასთუმნის ზევით, ზღვის დონიდან 1700 მეტრ სიმაღლეზე, მთა ყანობილზე, შეიქმნა და განვითარდა თანამედროვე ასტროფიზიკური ობსერვატორია. აქ არის ატმოსფეროს მაღალი გამჭვირვალობა, მისი ზედა ფენების შედარებითი სიმშვიდე. ერთი სიტყვით, არის ყველა ის თვისება, რომლებიც ყანობილის მთაზე ნაყოფიერს ჰქმნიან ასტრონომიულ დაკვირვებებს.

1977 წელი. აქ ჩატარდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის გაერთიანებული ექსპედიცია, რომელმაც სპეციალური დაკვირვებები განახორციელა ობსერვატორიის ტერიტორიის ფიზიკურ-ქიმიური ფონის შესამოწმებლად. ამ ექსპერიმენტმაც დაადასტურა აბასთუმნის თავზე ატმოსფეროს იდეალური თვისებები.

დღეს ობსერვატორია მეცნიერთა და სხვა თანამშრომელთა კოპწია დასახლებაა თავისი საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობებით, სამეცნიერო ცენტრით. ქართველ ასტრონომებს აქვთ მშვენიერი რეპუტაცია, როგორც საბჭოთა კავშირში, ისევე უცხოეთში, აღიარებულია მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები.

ცნობილია მათ მიერ აღმოჩენილი ზეახალი ვარსკვლავები, გამოაქვეყნეს მნიშვნელოვანი ვარსკვლავთკატალოგი, ასტრონომიული ატლასები, არსებობს ობსერვატორიის შრომების 67 გამოცემა. მონოგრაფიები გამოაქვეყნეს მეცნიერებათა დოქტორებმა თამარ მეგრელიშვილმა, ლუიზა ფიშკოვამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა როლანდ კილაძემ.

აბასთუმნის ობსერვატორიაში ხშირად იმართება სამეცნიერო სიმპოზიუმები, სულ ახლახან აქ მუშაობდა საბჭოთა-კავშირ ამერიკის ერთობლივი სემინარი ასტროფიზიკის მაღალი ენერგიების პრობლემებზე.

და ყოველივე ამის პირველი სულისჩამდგმელი და განმხორციელებელია ობსერვატორიის დირექტორი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე: ჭაბუკობისას მოვიდა აქ ახალგაზრდა ასტრონომი. ეს იყო 30-იანი წლები. ამბობენ, აქაურობას ერთი დარაჯი უვლიდაო. საზედარიც ჰყოლიათ, რომლითაც მაშინ სურსათ-სანოვაგესა და წყალს ეზიდებოდნენ. მას შემდეგ კი, როგორც ვთქვით, ბარე 6 ათეული წელიწადი გავიდა და ევგენი ხარაძე დღეს თავისი ნაშრომ-ნამაგარით ხარობს. მას, თავის საყვარელ საქართველოში აბასთუმანზე უფრო ძვირფასი კუთხე არ გააჩნია. რაც შექმნა, როგორც მეცნიერმა და მოქალაქემ, თითქმის ყველაფერი აქ არის თავმოყრილი, თუ ვინმე უყვარდა, ან დღესაც უყვარს, ყოველივე ყანობილის მთასთან არის დაკავშირებული.

ამაგდარი მეცნიერი მაინც ამბობს, რომ უკმაყოფილოა, თურმე ნუ იტყვით, მეტი უნდა გაეკეთებინა. ესეც, ალბათ მაღალი თავმდაბლობაა. გული კი, გული, იმიტომ სტკივა ღირსეულ ქართველ მეცნიერს, რომ თავის სათაყვანებელ აბასთუმანს ამგვარ გაჭირვებაში ხედავს.

58 წელიწადია აბასთუმანში ვცხოვრობ, ვშრომობ და მის გარემოს ვაკვირდები — თქვა აკადემიკოსმა. — მე მახსოვს, რომ აბასთუმანს უწოდებდნენ წალკოტს, საქართველოს მარგალიტს. ეს გახლდათ ის პერიოდი, როცა ზაქარია ფალიაშვილი აქ თხზავდა თავის შესანიშნავ ქმნილებებს. უფრო ადრე, თურმე დიდი აკაკი მოინახულებდა ხოლმე აბასთუმანს. დაბლა, სანატორიუმ „ზეკართან" ერთი ხეც დაურგავს, დღესაც რომ სასოებით შევყურებთ. ომამდე აქ იყო ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი, სადაც მკურნალობდა ჩვენი ლადო ასათიანი. წერდა კიდეც: — პედინსტიტუტიდან ტუბინსტიტუტში გადმოვედიო. იმ ფილიალში მაშინ დიდი სამეცნიერო მუშაობა იყო გაჩაღებული. ჩამოდიოდნენ ცნობილი პროფესორები ვლადიმერ ასათიანი, თინა ფიჩხაია, რაისა ქარცივაძე, ამ სამეცნიერო ფილიალის არსებობას გამართლება ჰქონდა, რამეთუ აქ იყო აბასთუმანი, ტუბერკულოზით დაავადებულთა ძირითადი სამკურნალო ბაზა.

მერე ითქვა, რომ ტუბერკულოზი სოციალური დაავადებაა და იგი ჩვენს ქვეყანაში არ უნდა არსებობდესო. სამწუხაროდ, როგორც ბევრი თავისთავად კეთილი სურვილი ლოზუნგებში შემოგვრჩა, იმ იდეასაც ასევე დაემართა. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი წლების მონაცემები და პერიოდული საკავშირო პრესა გვეუბნება, რომ ამ ბოლო ხანს მომრავლდნენ ტუბერკულოზით დაავადებულები. მაშასადამე, ჩვენ დღესაც, ყოველთვის გვჭირდება და მომავალშიც დაგვჭირდება კურორტ აბასთუმნის ძლიერი სამკურნალო ცენტრი. რა ვქნათ, რით გავაკეთილშობილოთ აქაურობა? ჯერ თურმე აბასთუმანი გვყოლია სამკურნალო.

აქ დასვენება და მკურნალობა უფასოა. ასეთ „უფასო მკურნალობას" ხომ არ სჯობდა ფასი დავაწესოთ, რათა აბასთუმანმა თავისი თავი შეინახოს და ბინადართაც საკადრისად მოუაროს?

რატომ არ გამოვიყენოთ დაფინანსების პროგრესული პრინციპი?

ვიფიქროთ ყველამ, ვისაც გვმართებს ამ საშვილიშვილო საქმეზე თავის შეწუხება.

იმას გეუბნებოდით, ჩვენს სიმდიდრეს ვერ ვუვლით მეთქი. აი, კიდევ ერთი სამწუხარო მაგალითი.

ალბათ, კმარა. ვფიქრობთ, რომ დადგა დრო, როცა სიტყვას ფასი უნდა დაედოს, მითუმეტეს — რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას.

ჯემალ ქურხული,
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი.
დაბა აბასთუმანი.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისაგან

მიმოქცევაში ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული სამახსოვრო მონეტების გამოშვების შესახებ

— 1989 წლის 31 აგვისტოდან მიმოქცევაში გამოდის ერთიანი რუსეთის სახელმწიფოს 500 წლისთავისადმი მიძღვნილი მონეტები:

ვერცხლისა — 3 მანეთის ღირსებისა (ძვირფასი ლითონის წმინდა მასა 31,1 გრამი, შენადნობის სინჯი 900),

ოქროსი — 100 მანეთის ღირსების (15,55 გრამი, 900) ოქროსი — 50 მანეთის ღირსებისა (7,78 გრამი, 900), პლატინისა — 150 მანეთის ღირსებისა (15,55 გრამი, 999), პალადიუმისა— 25 მანეთის ღირსებისა (31,1 გრამი, 999). მონეტებს აქვს წრეწირის ფორმა, რომელთა დიამეტრია შესაბამისად: 39 მილიმეტრი, 30 მილიმეტრი, 22,6 მილიმეტრი, 28,6 მილიმეტრი, 37 მილიმეტრი.

ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული მონეტები, რომლებიც მიმოქცევაში გამოდის, დამზადებულია სპეციალური ხარისხით („პრუფი") შემდეგი ტირაჟით — ვერცხლის მონეტები — 40 ათასი ცალი ყოველი სახეობისა; — ოქროს მონეტები — 100 მანეთის ღირებულებისა 14 ათასი ცალი და 50 მანეთის ღირებულებისა 25 ათასი ცალი; — —პლატინის მონეტები — 16 ათასი ცალი; —პლადიუმის მონეტები — 12 ათასი ცალი, და განკუთვნილია გასაყიდად სსრ კავშირსა და საზღვარგარეთ საკოლექციო ღირებულებით.

მონეტები, რომლებიც მიმოქცევაში გამოდის, ამჟამად მიმოქცევაში არსებულ მონეტებთან ერთად, სავალდებულოა მიიღონ სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ყოველგვარი ფულადი გადასახდელებისას, აგრეთვე სსრ კავშირის ბანკების დაწესებულებებმა და კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებმა მიმდინარე, საანგარიშსწორებო ანგარიშზე ჩასარიცხავად, ანაბრებად, აკრედიტივებად და გზავნილებად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

3-მანეთიანის შუბლი და უკანასტარი.

СССР
150
РУБЛЕЙ

150-მანეთიანის შუბლი და უკანასტარი.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

31 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო ბელგიის ფირმა „ინტერნეიშენელ ტრეიდინგის" დირექტორი იაკობ მორი. საქართველოში დაბადებული, ამჟამად ისრაელის მოქალაქე, იგი რესპუბლიკაში ჩამოვიდა, რათა განიხილოს კულტურის, ტურიზმისა და ვაჭრობის დარგში ერთობლივ საწარმოთა შექმნის შესაძლებლობები.

ამხ. ჭითანავამ აღნიშნა, რომ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე გარდაქმნის წყალობით, რესპუბლიკის ცალკეულ ორგანიზაციებს მიეცათ საერთაშორისო ბაზარზე პირდაპირი გასვლის, საზღვარგარეთელ პარტნიორთა საქმიანი კავშირურთიერთობის შესაძლებლობა. დღეს საქართველოში რეგისტრირებულია 23 ერთობლივი საწარმო, მიმდინარეობს მოლაპარაკება ისრაელის სხვადასხვა ფირმასთან თანამშრომლობაზე, რომელსაც ხელს უწყობს საქართველოს მთავრობა.

იაკობ მორმა აღნიშნა, რომ მისი თანამემამულეები დაინტერესებული არიან საქართველოს დღევანდელი ცხოვრებით, მისი მიღწევებით და კულტურით. რესპუბლიკას, თქვა მან, აქვს უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრეები ტურიზმისა და დასვენებისათვის, წარმოების სხვადასხვა დარგში ერთობლივ საწარმოთა შექმნისათვის. საქართველოს კულტურა, მისი კინემატოგრაფი, სხვა ხელოვნებანი პოპულარულია საზღვარგარეთ. ქართველი ებრაელებისათვის კი საქართველოსთან კავშირი უწინარესად კომერცია კი არა, ცოცხალი ძარღვია მათსა და მშობელ მხარეს შორის.

(საქინფორმი).

აჭარის მთებში დატრიალებული უბედურება საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთა გულისტკივილს იწვევს დღემდე. რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების წევრებმა გულთან ახლოს მიიტანეს ადამიანების გასაჭირი, რომლებმაც დაკარგეს ნათესავები, ახლობლები, უსახლკაროდ დარჩნენ.

საერთო ძალისხმევით

გაჭირვებაში მათ ერთ-ერთ პირველ დამხმარედ მოევლინათ პროფკავშირები. ტრაგედიიდან რამდენიმე დღის შემდეგ, საქართველოს პროფსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის შესაბამისად შეიმუშავეს დახმარების გაწევის ეტაპობრივი გეგმა. დიდი მუშაობა გასწიეს პროფკავშირების კურორტების მართვის, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭოებმა, რომლებსაც გამოჰყავდათ დაზარალებულები და დროებით აბინავებდნენ მათ. აჭარის დასვენების ზონებში ახლა ცხოვრობს 1056 კაცი, მათ შორის 800 ბავშვი. თითოეულ დასასვენებელ სახლთან, ტურბაზასთან შექმნილია პიონერული ბანაკები, რათა მშობლებს შრომის საშუალება ჰქონდეთ. ამ მიზნით გამოყოფილია დაახლოებით 238 ათასი მანეთი.

საქართველოს პროფკავშირების საბჭოში შეიქმნა შტაბი, რომელიც წარმართავს რესპუბლიკის პროფკავშირების მიერ დახმარების გაწევის მთელ მუშაობას. მისი მუშაობის შესახებ გვესაუბრება შტაბის ხელმძღვანელი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. გაგუა.

— ზამთრის პერიოდისათვის გადმოსახლებულთ დაეთმოთ პიონერთა ბანაკები, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები. მათში იცხოვრებს 1700-ზე მეტი კაცი. გარდა ამისა „საქკურორტმშენის" ტრესტის კოლექტივმა ააშენა თერთმეტი ორსართულიანი სახლი, რომელთაგან ხუთი ახალმოსახლეებს წელსვე მიიღებს. საქართველოს პროფსაბჭომ მხარი დაუჭირა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სხვა საქვეუწყებო ქვედანაყოფების ინიციატივას — გამოყონ სახსრები დაზარალებული მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი შენობების შესაძენად.

ბევრი პრობლემა და სიძნელე აქვთ გადმოსახლებულთ. მაგალითად, ისეთი საჭირბოროტო საკითხი, როგორიც არის ნორმალური კვების ორგანიზაცია. აქაც არსებით დახმარებას უწევს მათ პროფკავშირები. დაზარალებულთ გამოუყვეს 346500 მანეთის საერთო თანხის დიეტური კვების 9626 საგზური.

ფინანსური დახმარების მიზნით დაზარალებულთა თითოეულ ოჯახს გამოეყო 300 მანეთი.

მაგრამ, არა ხოლო პურითა... აჭარის პროფსაბჭოს ინიციატივით წიგნებით აკომპლექტებენ სოფლის სკოლების ბიბლიოთეკებს.

აჭარის პროფსაბჭოსთან შექმნილი შტაბი ყოველკვირეულად აანალიზებს ვითარებას, ოპერატიულად, ადგილებზე წყვეტს გადმოსახლებულთა წინაშე მდგომ პრობლემებს და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, გამოყოფილ სახსრებს ხარჯავს მხოლოდ იმათი სურვილებისა და აზრის შესაბამისად, ვისთვისაც განკუთვნილია ეს თანხები. გამოირკვა, რომ გადასასახლებელია 5257 ოჯახი, ანუ დაახლოებით 25 ათასი კაცი. დასახულია, რომ ადგილების შერჩევა და გადასახლება დამთავრდეს 1990 წლისათვის. დღეისათვის დასახლების ადგილებში საცხოვრებელი სახლით უკვე უზრუნველყოფილია 1142 ოჯახი. გადასახლებისათვის მზად არის ხულოდან 2200 ოჯახი, შუახევის რაიონიდან 800 და ქედის რაიონიდან — 121 ოჯახი.

გადმოსახლებულთა ხშირი სტუმრები არიან თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, თელავისა და სხვა ქალაქების პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გვესაუბრება საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ლაკია.

— თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის" მშრომელებმა პროფკომისა და ადმინისტრაციის ინიციატივით დაზარალებულებს მიაწოდეს მაცივრები, ლოგინის თეთრეული, საწოლები, ჭურჭელი და პროდუქტები. მალე ისინი მიაწოდებენ გაზის ქურებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, საპარიკმახერო კომპლექტებს. უფრო მეტიც, გაერთიანების მუშაკები ახალმოსახლეთა ხშირი სტუმრები არიან. ეხმარებიან მათ წესრიგში მოიყვანონ მეურნეობა, ამხნევებენ კეთილი სიტყვით. დამეთანხმებით, მძიმე წუთებში ასეთი სიტყვაც ძვირფასია.

აჭარლებს დიდი დახმარება გაუწია თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" კოლექტივმაც. ამ საწარმოს პროფკომი დაზარალებულთ გამოუყოფს დასასვენებელ ბაზას ბოლნისის რაიონის სოფელ ფოლადაურში, რომელიც იფუნქციონირებს როგორც სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი. ოცზე მეტი აჭარული ოჯახი დაიდებს აქ ბინას, სადაც ყველაფრით, მათ შორის უფასო კვებით იქნება უზრუნველყოფილი. პროფილაქტორიუმის შესანახი ხარჯების გაღება (დაახლოებით 150 ათასი მანეთი) იკისრა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა.

ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩოხელი:

— დაზარალებულთა დახმარების ფონდში უკვე ჩარიცხულია 400 ათას მანეთზე მეტი, აქედან დაახლოებით 59 ათასი მანეთი გაიღეს ჩვენმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. დარგის ყველაზე დიდი საწარმოები, ისეთები, როგორიც არის „საქენერგო", „ელექტროაპარატი", „კავკასელექტროქსელი" და სხვები, რომლებსაც საკუთარი სამშენებლო ბაზა აქვთ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ საცხოვრებელი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას. ამ ორგანიზაციების პროფკავშირული კომიტეტები თვალს ადევნებენ მშენებლობის ხარისხსა და ვადებს, საწარმოთა შრომითი კოლექტივები კი პრაქტიკულად ეხმარებიან მათ.

ამასწინათ ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმმა გამოიჩინა ინიციატივა, პრაქტიკულად ხელახლა გააშენოს ახალქალაქის სოფელი აფნია, კეთილმოაწყოს იგი და როგორც მშენებლები ამბობენ, გამზადებული გადასცეს ახალმოსახლეებს.

საქართველოს პროფსაბჭოს პრესცენტრი.

(საქინფორმი).

სოციალური სფერო

რეკონსტრუქციის შემდეგ

„ბათუმსურსათვაჭრობის" № 36 მაღაზიაში დამთავრდა კაპიტალური რემონტი და ძირეული რეკონსტრუქცია. „ინტურისტის" სამხატვრო სახელოსნოს თბილისელი ოსტატების ზრუნვით მაღაზიის გაფორმება ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები გახდა. თვალს ახარებს მარმარილოს ნაირფერი იატაკი, მოჩუქურთმებული კედლები, სარკეებიანი სვეტები. ორიგინალური ჭაღებით მორთულ ვრცელ სავაჭრო დარბაზებს აქ 220 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია.

განახლებულ სავაჭრო ობიექტში ოთხი სექცია მუშაობს, ერთი — თვითმომსახურებისა.

◆

სურათებზე: „ბათუმსურსათვაჭრობის" განახლებული მაღაზიის სავაჭრო დარბაზი; მაღაზიის გახსნის წინ.

საქინფორმის ფოტო.

იუბილე

ქართული ფსიქოლოგიის მოამაგე

აკადემიკოს ალექსანდრე ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავი



მეცნიერული მოღვაწეობა ალექსანდრე ფრანგიშვილმა ბავშვის ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის პრობლემათა კვლევით დაიწყო და ამ დარგის — პედოლოგიის ჩინებულ სპეციალისტადაც ითვლებოდა, მაგრამ 1936 წლიდან ჩვენს ქვეყანაში პედოლოგია, ფსიქოტექნიკა და სხვა დარგები ცრუმეცნიერებად გამოცხადდა. ამიტომ ახალგაზრდა მკვლევარმა თავისი სპეციალობით მუშაობა ვეღარ გააგრძელა. ამ ხანებში დაიწყო სოციალურ მეცნიერებათა შევიწროებაც, რადგან მათი მონაცემები ხელს უშლიდა ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელობას თავისი შეხედულებების უმაღლეს ჭეშმარიტებად გამოცხადებაში. სოციალურ მეცნიერებებს თანდათან პარტიული ორგანოების დადგენილებათა დასაბუთების ფუნქცია დაეკისრა. ამ ამოცანათა შესრულებისათვის საჭირო იყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა და, მათ შორის, ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის კრიტიკა და უარყოფა, მისი დაყვანა ვულგარულ მატერიალურ ორიენტაციაზე.

სამწუხაროდ, თავიდან ვერც ა. ფრანგიშვილმა დააღწია თავი ამ მიმართულების გავლენას და განწყობის თეორიის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. იგი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ განწყობის თეორია (რომელიც მაშინ ბიოსფეროს თეორიის სახელით იყო ცნობილი), იდეალისტური თეორიაა. ადამიანის ფსიქიკის გაგებას იგი მატერიალისტური, სინამდვილეში კი მექანიცისტური პოზიციიდან ცდილობდა. ასეთი კრიტიკის შედეგები მაშინ მეცნიერული ამოცანების ჩარჩოებში ვერ ეტეოდა.

ამის მიუხედავად, დიმიტრი უზნაძემ მასში მომავალი ღრმა მეცნიერი მკვლევარი დაინახა და თავის კოლექტივში მუშაობა შესთავაზა. ა. ფრანგიშვილმა ეს მოწვევა მიიღო. ფსიქოლოგთა კოლექტივში მუშაობის პირველსავე წლებში მოხდა ა. ფრანგიშვილის მეცნიერული და მეთოდოლოგიური ორიენტაციის საბოლოო ჩამოყალიბება. ამავე პერიოდში ყალიბდებოდა განწყობის თეორიის მრავალი ფუნდამენტური დებულება და მათ ფორმირებაზე ა. ფრანგიშვილიც სათანადო გავლენას ახდენდა. მან შინაგანად მიიღო განწყობის ფსიქოლოგიური თეორია და შემდგომში მის გაღრმავებასა და პოპულარიზაციას ეწეოდა.

მომდევნო მრავალი ათეული წლის მანძილზე ა. ფრანგიშვილი უკვე იბრძოდა განწყობის თეორიის დასაცავად, რადგან დარწმუნებული იყო, რომ განწყობის თეორიის ძირითადი პრინციპების გამოუყენებლად შეუძლებელია ადამიანის ფსიქიკური ბუნების გაგება.

დ. უზნაძის გარდაცვალებიდან 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ა. ფრანგიშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს. ამ დროის მანძილზე განწყობის თეორია საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მიმდინარეობად იქცა და მისი მიღწევები ფართოდ გახდა ცნობილი მრავალი ქვეყნის ფსიქოლოგიის სამეცნიერო ცენტრებში.

ფსიქოლოგიურ გამოკვლევათა რამდენიმე ციკლიდან, რომლებიც ა. ფრანგიშვილმა შეასრულა, უპირველესად აღსანიშნავია შრომები განწყობის ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებზე.

ამ შრომათა გავლენით განწყობის ცნებამ საბჭოთა ფსიქოლოგიის ძირითად კატეგორიათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ა. ფრანგიშვილის ამ შრომებმა მკვეთრად გაზარდა ინტერესი განწყობის თეორიისადმი. 1954 წელს ფსიქოლოგიის ცენტრალურ ჟურნალში ა. ფრანგიშვილის მიერ გამოქვეყნებული შრომები, რომლებიც განწყობის ფსიქოლოგიის პრინციპულ საკითხებს ეხებოდა, საკავშირო მასშტაბის მრავალწლიანი დისკუსიის საგანი გახდა. აღნიშნული დისკუსიის საფუძველზე დადგინდა, რომ საბჭოთა ფსიქოლოგიის აგებისათვის საჭირო კატეგორიათა სისტემაში აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი განწყობის ცნება. ამგვარი მთლიანობითი შინაარსის ამსახველი ფსიქოლოგიური ცნების გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდა ადამიანის აქტიურობის სოციალური და პიროვნული ასპექტების შესწავლა.

ფსიქოლოგთა მორიგ საერთაშორისო კონგრესზე უზნაძის განწყობის თეორია და ა. ფრანგიშვილის შრომები საბჭოთა ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან მონაპოვრად აღიარეს. მკვეთრად გაიზარდა განწყობის ფსიქოლოგიაში მომუშავე ფსიქოლოგთა რიცხვი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

ა. ფრანგიშვილს შესწავლილი აქვს ფსიქოლოგიის აქტუალური კერძო საკითხებიც. ასეთი შრომების ციკლს განეკუთვნება გამოკვლევები, რომლებშიც დამუშავებულია მეხსიერების, მოგონებაში დარწმუნებულობის, აღზრდისა და სწავლის პრობლემები.

მისი გამოკვლევის მიხედვით, ფსიქიკურ კანონზომიერებას, რომლის საფუძველზეც დარწმუნებულობის განცდა აღმოცენდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქიკის ბუნების გაგებისათვის. მან მოიპოვა მონაცემები, რომელთა მიხედვით მოგონებაში დარწმუნებულობის განცდა, ერთი მხრივ, ასახავს ადამიანის შინაგან პოზიციას დასახსომებელი მოვლენის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ეს განცდა თვითონ მონაწილეობს პიროვნების მომზადებაში გარკვეული მიმართულებით საქმიანობისათვის.

ასევე ღრმად გამოიკვლია ა. ფრანგიშვილმა სწავლის ქცევის ფსიქოლოგიური ბუნება, რომელიც გადმოცემულია მონოგრაფიაში „სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები“. როგორც ცნობილია, სასკოლო ასაკის ბავშვის ქცევის ძირითად ფორმად სწავლა უნდა იქცეს, მან თავისი ადგილი უნდა დაუთმოს თამაშის ქცევამ, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვის აქტიურობის ძირითადი ფორმაა. მაგრამ, როგორც ა. ფრანგიშვილი გვიჩვენებს, სწავლა ბავშვებისათვის შინაგანად მისაღებად, მის ძირითად საქმიანობად რომ გადაიქცეს, საჭიროა ბავშვის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მომზადება და სათანადო განწყობის მუდმივი განმტკიცება. ეს შრომა განწყობის თეორიის საფუძველზე შესრულებული ერთ-ერთი ძირითადი გამოკვლევაა პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში. მისი ავტორი საქართველოს პედაგოგთა საზოგადოებამ იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით დააჯილდოვა. შრომაში დასახულია ახალი ფსიქოლოგიური ორიენტაცია სწავლა-აღზრდის საკითხების მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმართვისათვის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ა. ფრანგიშვილის გამოკვლევების ციკლი ფსიქოლოგიის ისტორიის საკითხებზე. აქედან უნდა გამოიყოს ნარკვევები საქართველოში ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარების გზებზე. აღნიშნული შრომები ავტორმა განაზოგადა ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“. ქართული ფილოსოფიის აზროვნების დიდმა მკვლევარმა შ. ნუცუბიძემ ნაშრომს ქართული კულტურის კვლევის მორიგი მიღწევა უწოდა.

ა. ფრანგიშვილის მრავალრიცხოვანი მეცნიერული შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომების ციკლი სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებზე.

როგორც ცნობილია ჩვენს ქვეყანაში ადრე არ არსებობდა სოციალური ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიის დამოუკიდებელი დარგი. მაგრამ 1942 წელს, სამხედრო ფსიქოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით, ა. ფრანგიშვილმა გამოაქვეყნა სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა „პანიკის ფსიქოლოგია“. ამ შრომაში ვრცლად არის დახასიათებული სოციალური ჯგუფის ძირითადი ფსიქიკური პროცესები და დადგენილია ჯგუფის მართვის ძირითადი კანონზომიერებანი.

სოციალური ფსიქოლოგიის კანონზომიერებათა შესწავლის მეორე საინტერესო გზა კულტურის პროდუქტების ანალიზია. ა. ფრანგიშვილმა ამ სფეროში, ჩვენს ფსიქოლოგთა შორის პირველმა, შეასრულა საინტერესო გამოკვლევა. ფსიქოლოგიური მოვლენების აღმნიშვნელი ქართული ლექსიკური ფონდის ანალიზის საფუძველზე მეცნიერმა აღმოაჩინა ქართულ ენაში ნაგულისხმევი ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემა. აღმოჩნდა, რომ ქართულ ყოფაში რეალიზებული ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემა ძირითადად სიტყვა „გულის“ საშუალებით ყოფილა გამოხატული. კვლევის ეს გზა ხალხის ფსიქოლოგიის მრავალი აქტუალური საკითხის შესწავლის საშუალებას იძლევა. ეთნოფსიქოლოგიის საკითხების კვლევის მიმართულება, რომელიც ჩვენში მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს, თავის საყრდენად ამ გამოკვლევებს მიიჩნევს.

განწყობის ცნების ანალიზის დროს ა. ფრანგიშვილმა მისი ისეთი მხარეები აღმოაჩინა, რომ შეიქმნა საჭიროება სოციალური განწყობის ცნება ინტენსიური შესწავლის საგნად გადაქცეულიყო. სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლების შეხედულებათა კრიტიკული განხილვით მან მოამზადა მეცნიერული ფონი და გზა გაუხსნა განწყობის ცნებას სოციალურ ფსიქოლოგიაში. ამის შედეგად დღეს სოციალურ ფსიქოლოგიაში ინტენსიურად შეისწავლება სოციალური განწყობის ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებანი, რომლებიც არსებითად განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ, შემოქმედებითს და მორალურ აქტიურობას.

ა. ფრანგიშვილი დ. უზნაძის მიერ საქართველოში ჯერ კიდევ 1927 წელს დაარსებული საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ფსიქოლოგთა საკავშირო საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე 1954 წლიდან პირველსა და ყველა მომდევნო ყრილობაზე მას ირჩევდნენ საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. იგი იყო ფსიქოლოგთა IV საკავშირო ყრილობის პრეზიდენტი და თითქმის ყველა ყრილობაზე ხელმძღვანელობდა რომელიმე სიმპოზიუმს.

განწყობის თეორიის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის ა. ფრანგიშვილმა დიდი ორგანიზაციული მუშაობა გასწია. ჯერ კიდევ 40-იანი წლების ბოლოს ჟურნალ „ფსიქოლოგიის“ III ტომში მან შეკრა საბჭოთა კავშირის წამყვანი ფსიქოლოგების გამოკვლევები განწყობისა და მოსაზღვრე საკითხებზე, რითაც დიდი სტიმული მისცა განწყობის ფსიქოლოგიის განვითარებას. შემდგომში, 1971 წელს მან შეადგინა დ. უზნაძის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომების კრებული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფსიქოლოგიის კორიფეებმა პიაჟემ, ბრუნერმა და სხვებმა. 1978 წელს თბილისში ა. ფრანგიშვილის თაოსნობით მოეწყო არაცნობიერისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობდა ევროპის, ამერიკისა და აზიის კონტინენტების თითქმის ყველა წამყვანი ფსიქოანალიტიკოსი და არაცნობიერზე მომუშავე ფსიქოლოგი. ამ ღონისძიებათა შედეგად მსოფლიო მასშტაბით ცნობილი გახდა განწყობის თეორია და მისი ძირითადი მიღწევები. დ. უზნაძისა და ქართველ ფსიქოლოგთა შრომები ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, უნგრულ და სხვა ენებზე და აისახა სხვადასხვა ქვეყნის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში.

ქართველი მეცნიერის დამსახურება სათანადოდ არის ასახული როგორც დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ისე ფილოსოფიურ და პედაგოგიურ ენციკლოპედიებში. მისი სახელი კარგად არის ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელ ფსიქოლოგებს შორის. იგი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ფსიქოლოგთა თითქმის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში. 1968 წელს ა. ფრანგიშვილი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს — ნამდვილ წევრად.

დიდ მეცნიერულ და ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა ა. ფრანგიშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. იგი ჯერ აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგე იყო, ხოლო შემდეგ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. დღეს იგი საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების კონსულტანტია.

იუბილეს დღეებში საქართველოს ფსიქოლოგები აკადემიკოს ა. ფრანგიშვილს უსურვებენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და დასახული მეცნიერული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

შოთა ნადირაშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

ეკოლოგია

ახლა საქმეა მთავარი

რთული ეკოლოგიური სიტუაციაა ყველგან, მათ შორის საქართველოშიც. დღეს ეს მთელ მსოფლიოს აწუხებს და ამიტომაც მიმდინარეობს მისი გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ასე უკომპრომისოდ და პერმანენტულად.

მეცნიერებს მრავალი მეთოდი აქვთ დამუშავებული ბუნების გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად და ცდებიც არა და არ ნელდება, ყველგან ცდილობენ შექმნან მცირენარჩენიანი ან უნარჩენო საწარმოო პროცესები; მაგრამ, სამწუხაროდ, საწარმოო საქონლის გამოშვების მოცულობის ზრდის გამო, რაც, თავის მხრივ, ადამიანთა მოთხოვნების ზრდასთანაა დაკავშირებული, ნარჩენების რაოდენობა მაინც მატულობს.

აქედან გამომდინარე, მწვავედ დგას საწარმოო და სხვა ნარჩენების უტილიზირებისა და შენახვის აუცილებლობის საკითხი.

ამგვარი ნარჩენების წარმოქმნის წყაროები მრავალია და, აქ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ ერთს: სამშენებლო მასალების, სამთო ქიმიურ, ნავთობქიმიურ, მეტალურგიულ მრეწველობასა და ზოგიერთ სხვა დარგებში ნარჩენთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მიზანშეწონილია ადგილზე მათი უტილიზირება. ასეთ საწარმოებში ფაქტიურად ეს პროცესი ტექნოლოგიური ციკლის ერთ-ერთი, ხშირად კი აუცილებელი შემადგენელი ნაწილიც უნდა იყოს. სხვა ამბავია, როდესაც საუბარია ისეთი დარგის წარმოებებზე, სადაც ნარჩენების რაოდენობა შედარებით მცირეა და მათს ადგილზე გადამუშავებას აზრი არა აქვს. საამისოდ ცენტრალიზებული გადამამუშავებელი წარმოებები უნდა შეიქმნას.

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დადგენილებით, მავნე ნარჩენები უნდა გაუვნებელყონ და მოთავსდეს სპეციალურ საცავებში.

როგორც ჩვენთან, ასევე უცხოეთში არსებულ ინსტრუქციათა მიხედვით, მავნე ნარჩენები კლასებად იყოფა და ისინი მთელი სახალხო მეურნეობის „კუთვნილებაა“. გარდა გაუვნებლობისა, მათი გამოყენებაც ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და საშური საქმეა.

ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში შეუდგნენ მთელი რიგი ქვეყნები რეგიონალურ მავნე ნივთიერებათა საცავების შექმნას და მათს გადამუშავებასაც ინტენსიურად მიჰყვეს ხელი. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ეკოლოგიურ სიტუაციას საკმაო ყურადღება ეთმობა, მათ კატასტროფულ მოვლენად თვლიან, ჩვენთან კი ეს საკითხი ჯერჯერობით გადაუწყვეტელია.

1983 წლის მონაცემებით (ეს წელიწადი საერთაშორისო ბუნების დაცვის წლად იყო გამოცხადებული), გფრ-ში წელიწადში 5 მილიონი ტონა ნარჩენი იყო ფიქსირებული (ე. ი. 80 კგ. ერთ მცხოვრებზე), აშშ-ში — 57 მილიონი (250 კგ.), ფინეთში — 0,4 მილიონი (80 კგ.), საფრანგეთში — 17 მილიონი. (340 კგ.) ინგლისში — მილიონი (120 კგ), ავსტრიაში — 0,1 მილიონი (30 კგ) და ა. შ. საბჭოთა კავშირის მონაცემები კი არ გაგვაჩნია, რამდენადაც დღემდე არ გამოქვეყნებულა (?!).

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? ის არსებული მონაცემები, რომლებიც საკმაო დაზუსტებას მოითხოვს, საგანგაშოა! მეტი რომ არა ვთქვათ, ყველა სახის მავნე ნივთიერება, რაც კი ჰაერში, წყალში, გარემოში გამოიყოფა და მყარი სახით გროვდება, 1,3 მილიონ ტონას ანუ ერთ კაცზე 245 კგ-ს შეადგენს წელიწადში.

ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის ჩვენთანაც, მავნე თუ სამრეწველო ნარჩენები ღია ცის ქვეშ ან სანაგვეებზე იყრება. სპეციალისტთა აზრით, გადაუდებელია სათანადო საცავების აგება, მათი ორგანიზებული დახარისხება, გადამუშავება და შენახვა.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში (გფრ-ში, დანიაში, შვეციაში) შემოღებულია კანონი, რომლის ძალითაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან განახორციელონ ნარჩენების გადასამუშავებელი პროგრამა. დამუშავებულია შესაბამისი მექანიზმი, რომელიც მთავრობისა და კომპანიების ურთიერთობას განსაზღვრავს. გფრ-სა და დანიაში უკვე 15 წელია მოქმედებს ეს კანონი, ფინეთში კი 1979 წლიდან შევიდა ძალაში კანონი ნარჩენების შეკრების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების შესახებ. ამ ქვეყნებში სპეციალური საწარმოებიც მოქმედებენ იგივე პერიოდიდან. დასავლეთ გერმანიაში უკვე ოცი წელია მუშაობენ ფირმა „მან“-ის საცავები. რა თქმა უნდა, მათ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ არა მარტო ექსპლოატაციის მხრივ, არამედ მოწყობილობათა დამზადებასა და რეალიზაციაშიც. აღნიშნულმა ფირმამ ჩვენც შემოგვთავაზა თანამშრომლობა.

საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 3 მაისის დადგენილებით, შესაბამის საკავშირო სამინისტროებსა და მათდამი დაქვემდებარებულ წარმოებებს დაევალათ განეხორციელებინათ საცავთა მშენებლობა ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით და წილობრივი მონაწილეობაც კი მიეღოთ მათს მშენებლობაში. სამწუხაროდ, იმ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ, ამ მხრივ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. იგივე მდგომარეობაა სხვაგანაც.

მონაცემები, რომელიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა, 1985 წელსაა შედგენილი საქართველოს სახელმწიფო მომარაგების კომიტეტის მიერ ქარხანა-დაწესებულებებიდან მოწოდებული მასალების მიხედვით. ისინი, რა თქმა უნდა, გადასინჯვას მოითხოვენ და ჩვენც უახლოეს დროში დავაზუსტებთ. ამ მონაცემების მიხედვით ქარხნების, დაწესებულებების, ქალაქებისა და სოფლების ტერიტორიებზე ნარჩენები 64,5 მილიონ ტონას შეადგენენ. მათი თითქმის 70 პროცენტი წიაღისეულის გადამუშავების შედეგადაა მიღებული და ძირითადად მეტალურგიულ, სამთო, საშენ მასალათა, ქიმიური მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა მუშაობის შედეგია.

შარშან დეკემბერში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, როგორც იქნა, შეიქმნა სპეციალიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომლის ამოცანაა საწარმოო პრობლემური ნარჩენების გამოვლინება, მათი აღრიცხვა, კატალოგებისა და პასპორტების შედგენა იმ მიზნით, რომ აღუნუსხავი არ დარჩეს მათი არცერთი სახეობა. ეს სამუშაოს პირველი ეტაპია. ამისდა პარალელურად, უკვე მიმდინარეობს სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე გადამამუშავებელი ქარხნისა და სპეციალური საცავის დაპროექტება-აშენება.

დადგენილებით ახლადჩამოყალიბებული გაერთიანება თვითდაფინანსებაზეა დაგეგმილი, რაც, მიუხედავად სირთულეებისა, სწორად გვესახება. საკავშირო მთავრობასა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა საფუძველზე, ყველა საწარმო და სამინისტრო ვალდებულია: მიიღოს წილობრივი მონაწილეობა გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საცავისა და ქარხნის მშენებლობაში, რაც მოგვცემს საშუალებას შევქმნათ შესაბამისი ბაზა ნახევრადსაქარხნო, საქარხნო და არასტანდარტულ მოწყობილობათა წარმოების შექმნისათვის. საქმისადმი ასეთი მიდგომა კი დაგვეხმარება მივიდეთ წარმოებაში როგორც პარტნიორი, ვისაც საშუალება ექნება დაამუშაოს პროექტი, ააშენოს, შექმნას და დაამონტაჟოს შესაბამისი მოწყობილობა, გაუშვას ექსპლოატაციაში დანადგარები თუ საამქროები. მხოლოდ ამგვარი მუშაობა მოგვცემს რეალურ შედეგს და მთლიანად გამორიცხავს არსებულ უამრავ ურთიერთპრეტენზიას. თუ გულახდილად ვიტყვით, იქ, სადაც დღეს საწარმოთა ხელმძღვანელობას ხელი არ მიუწვდებათ ნარჩენთა პრობლემების გადაჭრაზე (რაც, მეტწილად, მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ხდება), ჩვენთვის მათი გადამუშავება უპირველესი ამოცანაა, რასაც სათანადო სახსრები სჭირდება. მათი გაღება კი ზემოთაღნიშნულ დადგენილებათა საფუძველზე უნდა მოხდეს.

მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში ტონა ნარჩენის გადამუშავება 50-დან 400 დოლარამდე ჯდება. ჩვენს რესპუბლიკაში კი ცენტრალიზებულად არცერთი მანეთი არ იხარჯება მათ გადასამუშავებლად. ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევქმნათ სამეცნიერო ტექნიკური ბაზა-ლაბორატორიები, საცდელი საწარმო და შესაბამისი კადრებითაც დავაკომპლექტოთ ისინი. გვაწუხებს ლაბორატორიული ნაგებობის გამოყოფის საკითხიც, რაც საშუალებას მოგვცემდა, მომავალი წლის მეორე კვარტალიდან მაინც დაგვეწყო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. და ჩვენც, მცირესახსრიანობის გამო, მოქმედების სხვა გზა ავირჩიეთ — უკვე გავწიეთ გარკვეული სამუშაოები. იმ სამეცნიერო კვლევათა შესასწავლად, რაც ქართველ მეცნიერებს დაუგროვდათ. მაგალითად, ელექტროქიმიისა და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის მიერ დამუშავებულია (ნახევრად საქარხნო დანადგარის პირობებში) ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში წლების განმავლობაში დაგროვილი მჟავე გუდრონების საგზაო ფისებად გადამუშავების ტექნოლოგია. ინსტიტუტის მეცნიერებსთან და ქარხნის ხელმძღვანელობასთან ერთად შევუდექით პროგრამის შესრულებას და დაგეგმილი გვაქვს მომავალი წლის ბოლოს მაინც მივაწოდოთ პროდუქცია მომხმარებელს. შემდეგ, ქუთაისის ავტოქარხნის ნაცრის ნარჩენების (იგი 30-35 ათას ტონას აღწევს წელიწადში და უკვე 1,2 მილიონ ტონამდე დაგროვდა) ხარჯზე საკედლე მასალების წარმოებასაც შევქმნით, რისთვისაც რუსთავის ცემენტის ქარხნის ნარჩენებს გამოვიყენებთ. გარდა ამისა, ქარხნის საჩამომსხმელო წარმოების ნარჩენთა ხარჯზე, წელიწადში დაახლოებით 30-40 ათასი ტონა ქვიშა შეგვიძლია მივაწოდოთ მშენებლებს.

ელექტროქიმიისა და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტთან და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გზების კათედრასთან ერთად მუშავდება ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ბარიტის შემცველი მყარი ნარჩენებისა და ტყიბულის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ნარჩენთა გადამუშავების საკითხები ამბროლაურის რაიონში არსებული კირის საბადოების ნარევის გამოყენებით. გაისად უკვე გვექნება, მოწყობილობა მწყობრიდან გამოსული ვერცხლისწყლის შემცველი ელექტრონათურების გადასამუშავებლად. გათვალისწინებულია სხვა სამუშაოებიც.

მავნე ნარჩენები, რომელთა შესანახად საჭიროა საცავის გარკვეული, აუცილებელი პირობების დაცვით აშენება, გადამუშავების შედეგად აღარ ქმნიან გარემოსათვის საშიშროებას. მაგალითად, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ნარჩენები, რომლებსაც რიონის პირას 100 ჰექტარი ფართობი აქვს დაკავებული, დიდ საშიშროებას არ წარმოადგენენ სანამ არ მოხვდებიან წყლის ზემოქმედების ქვეშ და მითუმეტეს უშუალოდ წყალში (მდინარეში, წყალსაცავში, ტბაში, ზღვაში და სხვა). მეორე მაგალითი, გალვანური წარმოების ნარჩენები, რომლებიც მძიმე მეტალებს შეიცავენ და მათ შესახებ ამ ბოლო დროს პრესაში ბევრი იწერება, თუ კი მათ შეინახავთ შესაფერი პირობების დაცვით, აღარავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენენ, ჰოდა მათი შენახვა ყველა პირობის დაცვით აუცილებელია. მაგრამ, ისევ და ისევ, თუ ეს ნარჩენები მოხვდა წყალში ან გრუნტში, მაშინ ასეთი არე რა თქმა უნდა, მომწამვლელ და ეკოლოგიურად საშიშ წყაროდ გადაიქცევა. შემდეგ, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მშვენივრად იციან, რომ შეფუთული და მშრალი პესტიციდები თუ სხვა შხამქიმიკატები საშიშროებას არ წარმოადგენენ. მაგრამ, თუ ასეთი ნივთიერებები ინახება ღია ცის ქვეშ, რაც, სამწუხაროდ ჩვენს პირობებში ძალზე გავრცელებული პრაქტიკაა, მათი წყლის ზემოქმედებით, განსაკუთრებით წვიმისა და თოვლის სახით, ისინი ჩაირეცხებიან ნიადაგში ან მდინარეებში და სიცოცხლისათვის ძალზე საშიშ პირობებს ქმნიან, ასეთივე მდგომარეობაა სასუქების გამოყენება-შენახვის შემთხვევაშიც. მაგალითების მოყვანა, ალბათ უსასრულოდ შეიძლება, ვფიქრობთ, დაფიქრებისათვის და გაანალიზებისათვის ესეც საკმარისია.

რატომ ვართ დაინტერესებული, რომ საცავის ასაშენებლად გამოყოფილი ტერიტორია აკმაყოფილებდეს გარკვეულ აუცილებელ პირობებს? ეს, პირველ რიგში იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს გარემოს უთავბოლოდ გაჭუჭყიანება; ერთ ადგილას, ცენტრალიზებულად მოვუყაროთ თავი მავნე ნივთიერებებს და შევინახოთ ერთი უწყების მეთვალყურეობის ქვეშ. მეორეს მხრივ, თანამედროვე, უკვე ცნობილი ტექნოლოგიები გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ ნარჩენების ნაწილი სასარგებლოდ იქნას ხელმეორედ გამოყენებული ქიმიური ნაერთების თუ ელემენტების აღდგენა-გამოყოფის გზით. და კიდევ ის, რომ ნარჩენები, რომლებიც დღეს გამოუყენებლად ითვლება, ხვალ, ახალი ტექნოლოგიების, ახალი მეცნიერული სამუშაოების საფუძველზე ადამიანისათვის სასარგებლოდ გადამუშავდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, დღეს შენახული მავნე ნივთიერებებად ცნობილი ნარჩენები მომავალი თაობებისათვის სიმდიდრის ერთ-ერთი წყარო გახდება.

ორიოდე სიტყვა მავნე ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის შესახებ. ასეთ ქარხანაში ნარჩენების გადამუშავება ხდება 1400 გრადუსზე და უფრო მეტ ტემპერატურაზე. საქართველოში ამ სახის ნარჩენები 35-40 ათასი ტონაა წელიწადში. მათი მაღალთერმიული დამუშავების შემდეგ მიიღება ორთქლი, რომელიც სასარგებლოდ იქნება გამოყენებული, როგორც ენერგიის ერთ-ერთი წყარო მრეწველობისთვისაც და მოსახლეობისთვისაც. ასეთი ქარხნის მშენებლობის შესაძლებელ ვარიანტად გარდაბნის რაიონია არჩეული. ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, იგი მთლიანად მოემსახურება გარდაბნის, თბილისისა და რუსთავის რეგიონების წარმოებებს, სადაც მთელი საქართველოს მრეწველობის უდიდესი ნაწილია თავმოყრილი. ერთდროულად გამომუშავებული ორთქლი ან ცხელი წყალი მოხმარდება მოსახლეობას ან სასათბურე მეურნეობებს. წინასწარი მონაცემებით არის ცნობილი, რომ ამ ქარხნის მშენებლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ ფირმასთან ერთად განხორციელდება. ასეთი მოლაპარაკება მიმდინარეობს და შედეგი ცნობილი გახდება მომავალი წლის დასაწყისში.

გიორგი გოგოლაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რესპუბლიკური სპეციალიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება საქტოქსმეორეული გადამუშავების გენერალური დირექტორი.

მოვლენათა ქრონიკა

საზღვაო ამხანაგობის კანონებით

თურქეთის იზმირის ნავსადგურში ტვირთი რომ გადმოცალა, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერმა „დავით ბაქრაძემ“ კურსი ოდესისკენ აიღო. საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, როცა მევახტე მატროსმა ნ. კახიძემ შენიშნა კანჯო, რომელშიც კაცი იჯდა და უბედურების მაუწყებელ სიგნალებს იძლეოდა.

თბომავლის კაპიტანმა ე. პროხორსკიმ მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება — შეეცვალა კურსი და დახმარებოდა. როგორც გადარჩენილმა თურქეთის მოქალაქემ ენდოგან კარსოლმა თქვა, კანჯო დაზიანებულიყო და დინებას გაშლილ ზღვაში გაეტაცა.

დაზარალებულს საჭირო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, დააპურეს და კანჯო შეუკეთეს, მომხდარი ამბავი თურქეთის ხელისუფალთ შეატყობინეს. მათმა წარმომადგენელმა გულითადი მადლობა გადაუხადა გემის ეკიპაჟს კეთილშობილური საქციელისათვის.

კანჯო ბუქსირით თურქულმა კატარღამ წაიყვანა, „დავით ბაქრაძემ“ კი გზა განაგრძო.

▼▼

ინგლისელი მომღერალი თბილისში

კონცერტები თბილისის სპორტის სასახლეში იმართება. იგი, როგორც ყოველთვის ახალგაზრდაა, სიცოცხლით სავსე, ზოგჯერ კი მხიარულად აგრესიულია. ერთი სიტყვით, სწორედ ისეთია, როგორიც წარმოგვედგინა ვიდეოფირების მიხედვით, ზოგჯერ რომ გამოჩნდება ხოლმე ჩვენს ტელეეკრანებზე.

სიუზი კუატრო ოსტატურად ამყარებს კონტაქტს დარბაზთან. მისი პროგრამის ყოველი ნომერი ტაშის გრიალში მიმდინარეობს. სიუზი კუატრომ თბილისის აეროპორტში იმედი გამოთქვა, რომ აქ, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, შეხვდება კეთილად განწყობილ მაყურებელს. ეს ასეც არის, მომღერალი ჩვენთან უყვართ. დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა „კუატროს ვარსკვლავი“ განსაკუთრებით მკაფიოდ აკიაფდა როკ-მუსიკის ცის კამარაზე, ჩვენამდე ამ ნათების მხოლოდ მინავლული სხივები აღწევდა.

სიუზი კუატროს თბილისური კონცერტების დამსწრეთა ასაკობრივი გამოკითხვა ალბათ არ მოეწყობა. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმეტესწილად ეს ისინი არიან, ვინც ახლა 30-35 წლის ასაკისაა. მათთვის ხომ მსახიობთან თითქმის ორი ათწლეულის შემდეგ შეხვედრა საკუთარ სიჭაბუკეში რამდენადმე სევდიანი მოგზაურობაა.

ჩვენი მეხსიერება სიამოვნებით ივიწყებს უსიამოვნო მოგონებებს, მაგრამ ზოგჯერ ურიგო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა ის წლები, რათა დასავლეთში თანამედროვე მუსიკის ოდესღაც პირველ მომღერლად აღიარებული როკ-ნ-როლის ვარსკვლავის კონცერტზე მისვლით გავიაზროთ, მაინც რამდენად სხვაგვარად ვცხოვრობთ ახლა. (საქინფორმი).

უცხოეთში

საქდესი [illegible]
31 აგვისტო

● უნგრეთი

პარტია უნდა განახლდეს

ბუდაპეშტი. დარწმუნებული არ ვართ, რომ შეთანხმებას მივაღწევთ მრგვალი მაგიდის გარშემო ოპოზიციასთან მოლაპარაკებაზე, მაგრამ საამისო შესაძლებლობები არის, ხაზგასმით აღნიშნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის თავმჯდომარემ რ. ნიერშმა პარტიული ყრილობის დელეგატთა დასახელებისათვის სამხრეთ უნგრეთის ქალაქ კეჩკემეტში გამართულ კრებაზე.

მან აღნიშნა, დღეს, როგორც პარტიის რიგით წევრებს, ისე ხელმძღვანელობას ესმის, რომ უნგრეთის საზოგადოების კონსოლიდაცია დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიაზე, იმაზე, იპოვის თუ არა იგი ადგილს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ვერ დაეფუძნება უწინდელ იდეოლოგიასა და პოლიტიკას, პარტია უნდა განახლდეს, მაგრამ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წევრებს არ უნდა რცხვენოდეთ პარტიის წარსულისა, უნდა სწავლობდნენ მისი გამოცდილებით.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მომავალმა ყრილობამ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს, რომლებიც ეხება ქვეყნის მომავალს, ხაზგასმით აღნიშნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საზაფხულო უნივერსიტეტის დახურვაზე ჩრდილოეთ უნგრეთის ქალაქ ტატაში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პოლიტაღმასკომის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. კოვაჩმა. ჯერ კიდევ პარტიული ფორუმის დაწყებამდე, მის დელეგატებს უნდა ჩამოუყალიბდეთ საერთო აზრი რესპუბლიკის განვითარების მთავარ პრობლემებზე, შეთანხმდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პროგრამისა და მისი წესდების შინაარსის თაობაზე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საზაფხულო უნივერსიტეტმა დიდად შეუწყო ხელი ამას, თქვა ორატორმა.

უნივერსიტეტის საზაფხულო სწავლებაზე ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დაახლოებით 900 აქტივისტი ქვეყნის ყველა კუთხიდან. მათ ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების თაობაზე, განიხილეს პარტიის პოლიტიკის პროპაგანდის საკითხები.

უშიშროების საბჭოში

მორიგი რეზოლუცია ნამიბიის შესახებ

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ერთხმად მიიღო რეზოლუცია ნამიბიის შესახებ.

რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნას ყველა დაინტერესებული მხარის, უწინარესად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ, ზუსტად დაიცვან უშიშროების საბჭოს 435-ე და 632-ე რეზოლუციები ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

უშიშროების საბჭომ მოითხოვა დაშალონ კომანდოსების ყველა ქვეგანაყოფი, კერძოდ „კუფუტი“, და მათი საკომანდო სტრუქტურები. რეზოლუცია მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შეისწავლოს საკითხი, რამდენად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარდამავალ პერიოდში ნამიბიისათვის დახმარების გაწევის ჯგუფის სამხედრო კომპონენტი და პოლიციელთა საკონტროლო ქვეგანაყოფების რიცხვი მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. მიღებულ დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია, რომ საჭიროა არჩევითი პროცესის შესახებ მთელი კანონმდებლობა შეესაბამებოდეს ამ ქვეყანაში მოწესრიგების გეგმის დებულებებს.

უშიშროების საბჭომ მთლიანად დაუჭირა მხარი გენერალური მდივნის ძალისხმევას 435-ე რეზოლუციის განხორციელებისათვის. ამავე დროს რეზოლუცია მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს ყოველნაირად შეუწყონ ხელი ნამიბიაში ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც საშუალებას მისცემს მის ხალხს თავისუფლად და დაუშინებლად მონაწილეობდეს არჩევნებში და მოიპოვოს დამოუკიდებლობა.

როგორია დასავლეთის პოზიცია

ინგლისის პრესა ბალტიისპირეთის შესახებ

ლონდონი. ინგლისის მემარჯვენე მიმართულების მთელი რიგი გაზეთები ამ ბოლო დღეებში გამოდიან გამაფრთხილებელი განცხადებებით საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ნაციონალისტური და ექსტრემისტული ელემენტების მიმართ, რათა მათ არ გააზვიადონ თავიანთი აქციების შესაძლო გავლენა აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის ურთიერთობის განვითარებაზე და ნუ იქნებიან ამასთან დაკავშირებით დასავლეთის სახელმწიფოთა მხრივ რაიმე კონკრეტული დახმარების იმედით.

„ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერებს, — პირდაპირ აღნიშნავს „დეილი ტელეგრაფი“, — არ ეგების გააზვიადონ თავიანთი პრობლემების მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით. დასავლეთს გარკვეულწილად ესმის, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის ძნელია შეურიგდეს იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა გავა მისი შემადგენლობიდან და ამით პრეცენდენტს შექმნის. გორბაჩოვმა ნაციონალისტურ მოძრაობას თვითმმართველობის ბარაქიანი წილი შესთავაზა“. ამაზეა ლაპარაკი გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსშიც“. ეხება რა დამოკიდებულებას იმ პრობლემებისადმი, რომლებიც ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა ხალხებს აწუხებთ, გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა „მოთმინებით ეკიდება აზრთა თავისუფალ გამოხატვასა და თავისუფალ პოლიტიკურ საქმიანობას, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“. ხოლო დასავლეთის პოზიციასთან დაკავშირებით, ეს გავლენიანი ბეჭდვითი ორგანო წინასწარმეტყველებს: „რაოდენ აღტაცებულიც უნდა იყოს დასავლეთი ბალტიისპირეთის ხალხებით და რაოდენ დიდი თანაგრძნობითაც უნდა ეკიდებოდეს მათ, იგი ვერ დაიწყებს მესამე მსოფლიო ომს ბალტიისპირეთის თავისუფლების უზრუნველყოფის გულისათვის, და ამასთან დაკავშირებით მათი დაიმედების წახალისება ცუდი ილუზია იქნებოდა“.

სტატისტიკა

უმუშევრობა იაპონიაში

ტოკიო. ივლისში უმუშევართა არმია იაპონიაში შეადგენდა 1320 ათას კაცს, რაც ქვეყნის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 2,2 პროცენტია. შრომის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, აქედან 790 ათასია მამაკაცი, დანარჩენი 530 ათასი — ქალია. მთავრობა იძულებულია აღიაროს, რომ მუშაობის შესაძლებლობას მოკლებულ იაპონელთა რიცხვი არ შემცირებულა მიმდინარე წლის ივნისთან შედარებით.

პოლიტიკური ნახატი

ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილი ბიზნესი კაპიტალის ექსპორტიდან გადავიდა საზღვარგარეთ მთელი რიგი სამრეწველო დარგის გატანაზე. განსაკუთრებით საქმე ეხება ენერგო და შრომატევად, აგრეთვე იმ დარგებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს.
(გაზეთებიდან).



გიგანტური ობობა „ჯენერალ მოტორზი“ თავის მავნე საწარმოებს „აბნევს“ ტაივანზე, სამხრეთ კორეაში, ევროპაში, მექსიკაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზე.
ნახატი გაზეთ „პიპლზ დეილი უორლდიდან“.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

მედიცინა: პრობლემები

შიდსი — სჯობს ახლავე ავტეხოთ განგაში

შიდსი დღეს თავზარს სცემს მთელ მსოფლიოს. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში მედიკოსები თერმობირთვული ომის საფრთხის შემდგომ მას უპირველეს პრობლემად თვლიან.

შიდსი იმუნოდეფიციტის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა, რომლის წინაშეც მედიცინა ჯერჯერობით უძლურია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ, თუ როგორი მდგომარეობაა ჩვენში, რა კეთდება შიდსისა თუ სხვაგვარ იმუნოდეფიციტთა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შიდსის განყოფილების გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს თენგიზ ცერცვაძეს და რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს კლინიკური იმუნოლოგიის ლაბორატორიის გამგეს ცისანა შარტავას.

— გთხოვთ გვითხრათ, დიდი ხანია თუ არა მუშაობთ ამ თემაზე, კერძოდ, როდის ჩამოყალიბდა თქვენი განყოფილება და ლაბორატორია?

ცისანა შარტავა: კლინიკური იმუნოლოგიის ლაბორატორია შეიქმნა 1986 წელს, ხოლო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შიდსის განყოფილება — შარშანწინ. ლაბორატორიაც და განყოფილებაც ერთ შენობაშია, ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტით მეცნიერულად და პრაქტიკულად ვიკვლევთ სხვადასხვა წარმოშობის იმუნოდეფიციტებს, მათ შორის შიდსის პათოგენეზის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემებს.

— თუ შეიძლება, განმარტეთ რას ნიშნავს იმუნოდეფიციტი.

თენგიზ ცერცვაძე: მოგეხსენებათ, ადამიანი მუდმივ კონტაქტშია გარემოსთან, მაშასადამე, მრავალი სახის ვირუსებთან, ბაქტერიებთან და სხვა მიკროორგანიზმებთან. ადამიანის ორგანიზმში საკუთარი უჯრედების მუტაციის შედეგად სისტემატურად ჩნდება გადაგვარებული, მათ შორის სიმსივნური უჯრედები, ყოველივე ამას ადამიანი დიდხანს ვერ გაუძლებდა, განსაკუთრებული დაცვითი, იმუნური სისტემა რომ არ ჰქონდეს. იგი იცავს ორგანიზმს გენეტიკურად უცხო ინფექციური და არაინფექციური ბუნების ნებისმიერი აგენტისაგან, როგორიცაა შიდსი, ონკოლოგიური და რევმატიული დაავადებები და სხვა.

იმუნური სისტემის დაზიანებისას (რაც შეიძლება გამოიწვიოს ინფექციებმა, მაიონიზებელმა რადიაციამ, ზოგიერთმა მედიკამენტმა, ექსტრემალურმა სიტუაციებმა, გენეტიკურმა ფაქტორებმა) ვითარდება მისი უკმარისობა ანუ იმუნოდეფიციტი. ასეთი ავადმყოფები თავს შეუძლოდ გრძნობენ, აღენიშნებათ სიცხე, ადვილად „ცივდებიან“, ხშირად ავადდებიან მწვავე რესპირატორული ინფექციებით, ჰერპესით, ფილტვების ანთებით და ა. შ. ამასთან, ყველა ეს დაავადება მიმდინარეობს გახანგრძლივებულად და ტრადიციული მეთოდებით ძნელად იკურნება. ჩვენ ვიკვლევთ ასეთ ავადმყოფებს, და თუ იმუნოდეფიციტის არსებობა დადგინდა, ვუნიშნავთ სათანადო მკურნალობას იმუნური სისტემის მაკორეგირებელი პრეპარატებით, რაც ხშირად კარგ შედეგს იძლევა.

რაც შეეხება შიდსს, როგორც მისი სრული სახელწოდება — შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი — მიუთითებს, იგი იმუნოდეფიციტის ერთ-ერთი ფორმაა. შიდსი ინფექციური დაავადებაა, მას იწვევს ვირუსი, რომელიც სხვა ვირუსებისაგან განსხვავებით უშუალოდ აზიანებს ადამიანის იმუნურ სისტემას, რის შედეგადაც იგი უმწეო ხდება სხვა ინფექციებისა და სიმსივნური დაავადების მიმართ.

სადღეისოდ ცნობილია შიდსის ორი ტიპის ვირუსი. პირველი ტიპისა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და იწვევს დაავადების მძიმე ფორმას, ხოლო მეორე ტიპის ვირუსი ძირითადად გვხვდება აფრიკის ქვეყნებში და ხასიათდება დაავადების შედარებით მსუბუქი ფორმით.

შიდსის ვირუსის გადაცემა ძირითადად სამი გზით ხდება: ინფიცირებული სისხლის ან მისი კომპონენტების გადასხმით; არასტერილური შპრიცების, ნემსების და სხვა ინსტრუმენტების, მათ შორის სტომატოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით; სქესობრივი კავშირით.

— შიდსი ახალი სენია, თუ იგი აქამდეც არსებობდა? რას გვეტყოდით მსოფლიოში მისი გავრცელების არეალზე?

ცისანა შარტავა: შიდსის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები პირველად 1981 წელს შეამჩნიეს და აღწერეს ამერიკელმა ექიმებმა. როგორც ახალი სენი ოფიციალურად იგი რეგისტრირებულია 1982 წლიდან, ხოლო მისი გამომწვევი ვირუსი პირველად აღმოაჩინეს 1983 წელს. მიუხედავად ამისა, ვარაუდობენ, რომ შიდსი მანამდეც არსებობდა, მაგრამ ასე გავრცელებული არ იყო და ვერ ხერხდებოდა მისი დიაგნოზის დასმა. ამაზე მეტყველებს ადრე გარდაცვლილ ავადმყოფთა ისტორიის ანალიზი, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ათეულობით წლის წინ აღებული და გაყინული სისხლის გამოკვლევის შედეგად ზოგიერთში აღმოჩნდა შიდსის ვირუსის ანტისხეულები.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსათვის შიდსი რეგისტრირებულია მსოფლიოს 149 ქვეყანაში. სულ გამოვლენილია 164.000 ავადმყოფი და 8-10 მილიონი ვირუსის მატარებელი.

— როგორა გვაქვს საქმე საქართველოში, მდგომარეობა აქაც საგანგაშოა?

თენგიზ ცერცვაძე: ჩვენში შიდსის კვლევა 1986 წლიდან დაიწყო საქართველოს შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურში (ამ საქმის დიდი ენთუზიასტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ლევან საყვარელიძის ხელმძღვანელობით) და ჩვენს ლაბორატორიაში ერთდროულად. ამ დროისათვის კავშირში შიდსზე მხოლოდ ცალკეული ჯგუფები მუშაობდნენ და მოსახლეობის მასობრივი გამოკვლევა დაწყებული არ იყო.

სადღეისოდ რესპუბლიკაში შიდსზე ჩატარებულია 500.000-მდე გამოკვლევა. ჩვენს მოქალაქეებში შიდსით ინფიცირების არც ერთი შემთხვევა არ შეგვხვედრია, მაგრამ უცხოელთა შორის გამოვლინდა შიდსის ვირუსით ინფიცირებული რამდენიმე პირი, რომლებიც დაუყოვნებლივ თავიანთ სამშობლოში გაამგზავრეს.

ხშირად გვეკითხებიან, დარწმუნებული ვართ თუ არა, რომ საქართველოში შიდსი არ არის? რა თქმა უნდა ამის კატეგორიული მტკიცება შეუძლებელია, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ გამოუკვლეველია.

ეპიდსიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიმშვიდის უფლება არა გვაქვს, რადგან ჩვენ იზოლირებულ გარემოში არ ვცხოვრობთ. შიდსი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ძალზე სწრაფად მოიწევს და მოგვიახლოვდა კიდეც: ვოლგოგრადი, ელისტა, ოდესა, დონის როსტოვი, სოჭი...

— რა საშუალებები ან სიახლეა შიდსის მკურნალობასა და პროფილაქტიკაში?

ცისანა შარტავა: დიდი ცდის მიუხედავად სადღეისოდ არ არსებობს ისეთი ვაქცინა ან ფარმაკოლოგიური პრეპარატი, რომელიც საიმედოდ დაიცავდა ადამიანს ამ დაავადებისაგან. ამიტომ ჯერ-ჯერობით შიდსთან ბრძოლის ერთადერთი ეფექტიანი საშუალებაა მისი პროფილაქტიკა.

— არის თუ არა რესპუბლიკაში პირობები შიდსის სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ჩასატარებლად, რა კეთდება დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად?

თენგიზ ცერცვაძე: საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტრომ შიდსთან ბრძოლა უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია. რესპუბლიკაში შეიქმნა შიდსთან ბრძოლის სპეციალიზებული სამსახური თავისი ინფრასტრუქტურით. სადღეისოდ თბილისში, სოხუმში ბათუმში, ქუთაისში, სამტრედიაში, გორსა და გურჯაანში მუშაობს 10 უახლესი იმპორტული აპარატურით აღჭურვილი შიდსის სადიაგნოსტიკო ლაბორატორია. თბილისში რესპუბლიკურ კლინიკურ ინფექციურ საავადმყოფოსთან (პავლოვის 16) და საქართველოს შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურთან (ასათიანის 7) შექმნილია შიდსზე ანონიმური გამოკვლევის კაბინეტები. მალე რესპუბლიკაში შეიქმნება კიდევ 25 შიდსის სადიაგნოსტიკო ლაბორატორია.

ღონისძიებებმა გარკვეული ნაყოფიც გამოიღო. პრაქტიკულად აღარ ხდება სისხლის გადასხმა წინასწარ შიდსზე შემოწმების გარეშე. მიმდინარეობს ყველა ნარკომანის, ვენერიული ავადმყოფის, ცხელებიანი ავადმყოფის, ორსულებისა და ზოგიერთი სხვა რისკ-ჯგუფში შემავალი პირის უთუო გამოკვლევა, უწინარესად კი იმ პირებისა, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ შიდსით დაავადებულებთან თუ ვირუსმატარებლებთან.

დღემდე საქართველოში, ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებში, ტარდება მხოლოდ წინასწარი (სკრინინგული) გამოკვლევები, ხოლო შემდეგ ყველა საეჭვო სისხლი შესამოწმებლად იგზავნება მოსკოვში, ვინაიდან მთელ კავშირში მხოლოდ მოსკოვის რამდენიმე ინსტიტუტს აქვს სათანადო აღჭურვილობა და დიაგნოსტიკუმები.

მალე სიტუაცია პრინციპულად შეიცვლება. თბილისში შეიქმნა შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის რესპუბლიკური ცენტრი საკუთარი ლაბორატორიული, ეპიდემიოლოგიური, დისპანსერული და კლინიკური განყოფილებებით. იგი შეასრულებს შიდსის საბოლოო დიაგნოსტიკისათვის საჭირო ყველა გამოკვლევას, განახორციელებს ავადმყოფთა და საეჭვო პირთა დისპანსერიზაციასა და მკურნალობას.

გვაქვს სხვა პრობლემებიც. საქმე ის არის, რომ ჩვენს ლაბორატორიებს გაცილებით მეტი გამოკვლევის ჩატარება შეუძლიათ, მაგრამ ჩვენთან, პაციენტი არ მოდის. ამიტომ მივმართავთ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, აგრეთვე ჯანდაცვის ორგანოებს — გამოიჩინონ პასუხისმგებლობა და სიფხიზლე და უფრო აქტიურად გამოგვეხმაურონ, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი გამოვიკვლიოთ. პირველ რიგში ეს ეხებათ ჰომოსექსუალისტებს, მეძავებს, იმ პირებს, რომლებსაც ჰქონდათ შემთხვევითი სქესობრივი კავშირები, აგრეთვე, საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნებულთ, და კიდევ იმათ, ვინც ბოლო წლებში გაიკეთა ოპერაცია ან გადაისხა სისხლი, ვისაც შიდსის კლინიკური სიმპტომები აღენიშნება.

კარგად ვიცით, რომ დღეს ქვეყანას მრავალ სფეროში უჭირს, მაგრამ შიდსის პრობლემა ამ ფონზეც კი იმდენად მწვავეა, რომ აუცილებლად უნდა გამოინახოს საჭირო სახსრები, მათ შორის ვალუტაც, რათა სამედიცინო დაწესებულებები უზრუნველვყოთ ერთჯერადი ხმარების ინსტრუმენტებით, შიდსის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის საჭირო აპარატურით, დიაგნოსტიკუმებითა და პრეპარატებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ ავიცილებთ შიდსის ეპიდემიას, აქედან გამომდინარე უმძიმესი შედეგებით.

ესაუბრა
ნორა ნორაკიძე.

საშური საქმე

ხარვეზები საქართველოს ბეჭდვითი პროდუქციის ბიბლიოგრაფირებაში

სადღეისოდ ჩვენი რესპუბლიკის საბიბლიოთეკო ქსელში მრავალი ათეული მილიონი წიგნი თუ პერიოდული გამოცემაა თავმოყრილი. ამ მართლაც „ჰიმალაის მთებში“ გარკვევა მხოლოდ და მხოლოდ კარგი ორიენტირის — ბიბლიოგრაფიული წყაროს დახმარებით შეიძლება, ვინაიდან ბიბლიოგრაფირება ჩვენი საბიბლიოთეკო მუშაობის მტკივნეული უბანია, რომლის მოუგვარებლობით საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, სწორედ ამ თემაზე გვინდა ვისაუბროთ.

დავიწყოთ იმით, რომ ქართული პრესის ბიბლიოგრაფიის საკითხებზე სხვადასხვა დროს არაერთი წერილი გამოქვეყნდა პრესაში. ჯერ კიდევ 1961 წელს ისტორიკოსები ი. ანთელავა, შ. დუმბაძე და ა. ხინდიაშვილი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდნენ, რომ „ქართული პრესა მდიდარ მასალას იძლევა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად. ამ მდიდარი მასალით სარგებლობას საგრძნობლად აადვილებს ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რომლის შედგენა-გამოცემის გადაუდებელი საჭიროება კარგა ხანია მთელი სიცხადით გამომჟღავნდა ქართველმცოდნეობითი მეცნიერებების სხვადასხვა დარგის განვითარებასთან დაკავშირებით“.

მას შემდეგ წლების მანძილზე ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფიაში არსებული ხარვეზების შესახებ სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნდა პროფესორ ს. ხუციშვილის, საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტების თ. ნაკაშიძის, ი. გორგაძის, ა. რობაქიძის, დოცენტების ი. ევგენიძის, ლ. მინაშვილის წერილები.

რამდენ საწყენია, რომ ათეული წლების შემდეგ ჩვენ კვლავ იმავე პრობლემაზე გვიხდება საუბარი, რადგან არა და არ იქნა, ყინული ვერ დაიძრა ადგილიდან.

ცნობილია, რომ ქართული გაზეთების მატიანეების გამოცემა 1934 წლიდან დაიწყო, ხოლო ქართული ჟურნალებისა — 1939 წლიდან. მაშასადამე, ამით გამოიკვეთა ის ხარვეზები, რომლებიც ქართული ბეჭდვითი პროდუქციის ბიბლიოგრაფირებაში გვაქვს. აქ შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია ცალკეული პერიოდული გამოცემებისა (ჟურნალ „მნათობის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია სამ ტომად, 1924-1982 წლები. ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 1949-1980 წლებისა; ქართული საბჭოთა საბავშვო ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, 1924-1945 წლები; ქართული ლიტერატურული კრებულებისა და ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 1921-1941 წლები. გამომცემლობაში გადაცემულია ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 1924-1980 წლებისა და სხვ.), რომლებიც გარკვეულ წილად ავსებენ ხარვეზებს, მაგრამ პრობლემა ძირითადად გადაუჭრელი რჩება.

იმისათვის, რომ თვალნათლივი იყოს ამ დარგში არსებული ხარვეზები, შევეცდებით რეალური სურათი დავხატოთ.

შესადგენია „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია“ 1950 წლიდან დღემდე, თუნდაც 1985 წლამდე, არ გვაქვს აგრეთვე შედგენილი საქართველოში გამოცემული არაქართული წიგნების ბიბლიოგრაფია.

ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია შედგენილია მხოლოდ 1948 წლამდე. მაშასადამე, შემდგომი პერიოდიკის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი შესადგენია. არა გვაქვს შედგენილი საქართველოში გამოცემული არაქართული ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფია. რაც შეეხება ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას, იგი 1904 წლიდან საერთოდ არა გვაქვს.

განსაკუთრებით მოუგვარებელია 1905-1934 წლების პერიოდის პრესა, რომელიც არ არის ბიბლიოგრაფირებული არც ქართული პერიოდიკის ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში და არც მატიანეებში (მათი ქრონოლოგიური თარიღები ზემოთ არის მითითებული). რევოლუციური ქარტეხილებისა და საბჭოთა მშენებლობის პირველ ათწლეულებში ხომ უამრავი ჟურნალ-გაზეთი თუ სხვა ერთდროული სახის გამოცემა იბეჭდებოდა. გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ რეგისტრირებულია 840-ზე მეტი სახელწოდების ჟურნალი, გაზეთი, ერთდროული გამოცემა და სხვა, რომლებიც 1904-1934 წლებში გამოდიოდა. მათ შორის დავასახელებთ „ნაკადულს“, „სოციალ-დემოკრატს“, „სხივს“, „მუშას“, „გლეხს“, „ნაპერწკალს“, „ნიშადურს“, „განათლებას“, „სახალხო გაზეთს“ და სხვებს.

საკითხავია, განა ამ გამოცემებში დაბეჭდილი მასალები ინტერესმოკლებულია ისტორიკოსებისათვის, ეკონომისტებისათვის, ფილოლოგებისა და ფილოსოფოსებისათვის, იდეოლოგიური დარგის მუშაკებისა და სხვა მრავალთათვის? აი, ვის სჭირდება ნამდვილად ბიბლიოგრაფიული წყაროები...

ყურადღებას კიდევ ერთ უაღრესად მტკივნეულ საკითხზე გავამახვილებთ. ეს არის დარგობრივი და თემატური ბიბლიოგრაფიული საძიებლების საქმე. ამ მხრივ ისეთი ჩამორჩენა გვაქვს, რომ უხერხულადაც კი მიგვაჩნია არსებული ორიოდე ბიბლიოგრაფიული საძიებლის დასახელება. აღარაფერს ვამბობთ მეორე საფეხურის ბიბლიოგრაფიაზე.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვფიქრობთ, ნათლად გამოიკვეთა სათქმელი. ესეც საკითხავია, ჩვენმა თაობებმა მომავალ თაობებს რატომ უნდა დაუტოვონ მემკვიდრეობად ამდენი თავსატეხი. დავფიქრდეთ და წარმოვიდგინოთ, როგორ ამუხრუჭებს ჩვენს წინსვლას, ჩვენი საზოგადოების განვითარებას ის, რომ ეს პრობლემები დროზე არ წყდება.

ნუთუ იმათთვის, ვისაც ეს ეხება, იმდენად არაფერს ნიშნავს ქართულ პრესაში ამდენჯერ დასმული საკითხი, რომ არა და არ იქნა, მას თავი ვერ დაადგეს.

დასასრულ, გვებადება კითხვა — ამ აუცილებელი საქმის თავმოუბმელობა რესპუბლიკის ბიბლიოთეკების უწყებრივი დაქსაქსულობის შედეგი ხომ არ არის? ის, რომ საქართველოს სსრ საბიბლიოთეკო ქსელში ათასობით ბიბლიოთეკაა, საერთო ხელმძღვანელი კი (სახელმწიფო კომიტეტის ან მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამმართველოს სახით) არ გვყავს?

დავფიქრდეთ ამაზე.

ალექსანდრე ირემაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე;
ნუნუ აბუაშვილი,
ბიბლიოგრაფი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი



არდადეგები. **ზურაბ დათუაშვილის ფოტო.**

შოთა ქურიძე

ქართულმა მწერლობამ, რესპუბლიკის ჟურნალისტთა კორპუსმა, ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადეს: ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი, სკკპ წევრი 1941 წლიდან, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ყოფილი რედაქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი შოთა ისიდორეს ძე ქურიძე.

შ. ქურიძე დაიბადა 1917 წელს ოზურგეთში, მოსამსახურის ოჯახში. 1934 წელს აქვე დაამთავრა პედაგოგიური ტექნიკუმი და სწავლა განაგრძო ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციაში, იყო სტილისტი, განყოფილების გამგე, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი რედაქტორი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ, 1949-52 წლებში იგი მუშაობდა ჯერ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“, შემდეგ კი ქუთაისის საოლქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქტორად. 1953-58 წლებში ისევ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორია. შ. ქურიძე სხვადასხვა დროს იყო საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ რედაქტორი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ აჭარის რედაქციის გამგე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. 1971 წელს შ. ქურიძე კვლავ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორად დანიშნეს, სადაც 1985 წლის ოქტომბრამდე, პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა.

ფართო და მრავალმხრივი იყო შ. ქურიძის მოღვაწეობის ინტერესები. იგი სრულიად ახალგაზრდა ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში, დაუღალავად ილვწოდა ქართული მწერლობის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის. დიდია შ. ქურიძის დამსახურება აჭარაში მხატვრული სიტყვის, კერძოდ, ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის განვითარებაში. მისი წიგნები „ახალი ადამიანის სახე საბჭოთა ლიტერატურაში“, „ლიტერატურული წერილები“, „ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეა ქართულ ლიტერატურაში“, „მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში“, „ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი“, „ჭაბუკი იყო, ქარბუკი იყო“, „წარსულის ფურცლები“ და სხვები აღბეჭდილია პუბლიცისტური სიმძაფრით, საკითხის ღრმა ცოდნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით.

შ. ქურიძე არაერთგზის იყო არჩეული აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, აჭარის ასსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ. დაჯილდოებული იყო ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით.

კეთილშობილი ადამიანის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მოქალაქის, ახალგაზრდების გულისხმიერი მეგობრისა და აღმზრდელის შოთა ქურიძის სახელი მშობელი ქვეყნის და ხალხის უანგარო სამსახურის ნათელ მაგალითად დარჩება.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქცია.

ძმობის ფესვები

აბრამ საპირი: ბედნიერი ვარ, საქართველოს ვხედავ!

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ისრაელის ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელსაც ჩვენი ყოფილი თანამემამულე, ამჟამად ისრაელის მკვიდრი, აბრამ საპირი (სეფიაშვილი) ხელმძღვანელობს. ბატონი აბრამი ქართველი ებრაელებისა და საქართველოსთან კულტურულ-მეგობრული კავშირის რუსთაველის საზოგადოების დამაარსებელი და თავმჯდომარე, გაზეთ „ალია საქართველოდან“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორია. მოსკოვში ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი შალვა სვანი' შეხვდა მას და ინტერვიუ ჩამოართვა.

— პირადად ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს, რომელმაც საშუალება მოგვცა ვწვეოდით საქართველოს, ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს. აქ ხომ ჩვენი წინაპრები დაიბადნენ და გაიზარდნენ. ქართველი და ებრაელი ერების ძმობა და მეგობრობა 26 საუკუნეს მოიცავს. თუ ჩვენს ისტორიას თვალს გადავავლებთ, უთუოდ შევნიშნავთ, რომ ამ ერებს შორის ყოველთვის სუფევდა ურთიერთპატივისცემა, დიდი სიყვარული და, რაც მთავარია, „შალომი“ (მშვიდობა). წარმოშობით ბათუმიდან გახლავართ. 17 წელია ისრაელში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მომიხდა ყოფნა. მაგრამ მერწმუნეთ, ვერ დავასახელებ სხვა რომელიმე ერს, ქართველსავით რომ უყვარდეს სხვისი ერის შვილები. საქართველომ თავისი არსებობის მანძილზე ბევრი სხვა ერის წარმომადგენელი შეიკედლა, მოეფერა, გულისკარი გაუღო. ებრაელობასაც, როდესაც ყველაზე ძლიერ უჭირდა, სწორედ საქართველომ გაუწოდა ხელი, საკუთარი შვილივით მიიღო და გვერდში ამოიყენა. დიდი მადლობა საქართველოს, დიდი მადლობა მთელ ქართველ ერს. 26 საუკუნის მანძილზე საქართველოში მცხოვრები ებრაელები ყოველდღიურად გრძნობდნენ და გრძნობენ ქართველების სიყვარულსა და სითბოს, ამ სიყვარულმა, დიდმა პატივისცემამ გადაგვაწყვეტინა ისრაელის ჟურნალისტებს ვწვეოდით მათ სტუმრად; თუმცა მე და ჩემი კოლეგები თავს სტუმრად არ ვგრძნობთ, ჩვენ ხომ აქ დავიბადეთ, აქ ავიდგით ფეხი, აქ შევისწავლეთ ბრძენი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“...

რუსთაველის საზოგადოება ისრაელში 1976 წელს შეიქმნა, მასში გაერთიანდა ქართველი ებრაელობის ინტელიგენციის მოწინავე, პროგრესული ძალები. ეს საზოგადოება მიზნად ისახავს ქართველი და ებრაელი ერების მეგობრობის უფრო გაღრმავებას, ქართველი ებრაელების ძველი სამშობლოს, ისრაელისა და მისი დედობილის დაძმობილებას და დამეგობრებას. მოგეხსენებათ, მასიური „ალია“ (ამოსვლა) ისრაელში საქართველოდან და საბჭოთა კავშირიდან დაიწყო 1972 წელს. ჩასულ ხალხს აუცილებლად სჭირდებოდა ინფორმაციის წყარო. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ მათ არ დაევიწყებინათ მშობლიური ენა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა გაზეთი „ალია საქართველოდან“. მისი პირველი ნომერი საზოგადოებამ 1973 წელს იხილა ე. ი. ერთი წლის შემდეგ, რაც საქართველოდან ისრაელში ჩავედი.

მე პოლიტიკური მოღვაწე არა ვარ, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ სწორედ ბატონ მიხეილ გორბაჩოვისა, საჯაროობისა და გარდაქმნის პოლიტიკამ გააორკეცა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში. ამ პოლიტიკის შედეგია ისიც, რომ დღეს ბევრი საბჭოთა მოქალაქე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიემგზავრება საზღვარგარეთ ტურისტული საგზურით, კერძო მიწვევით, სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია ისიც, დღეს რომ ჩვენ აქ ვიმყოფებით, როგორც ისრაელის ქვეყნის წარმომადგენლები. მიმეჩქარება საქართველოში, ჩემი ნათესავების, მეგობრების, ჩემი საყვარელი მიწის ნახვა მწყურია, ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენ ერთმანეთის გაცნობა არ დაგვჭირდება, ჩვენ ხომ ორი ძმური ერის შვილები ვართ.

წინასწარ ვამბობ: გამარჯობა ჩემო საყვარელო საქართველოვ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს! გაუმარჯოს მშვიდობას! — თქვა ბატონმა აბრამმა.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, ზოგან ძლიერი, დასავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარსა და მთაში 23-28, მაღალმთიანეთში 15-20 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 29-34, მთაში 27-32, მაღალმთიანეთში 22-27 გრადუსი.

თბილისში: დღისით ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — 32-34 გრადუსი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს სასწავლო კომბინატი და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს № 120 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებენ მოსწავლეთა მიღებას ავტოსატრანსპორტო საშუალებათა „დ“ კატეგორიის მძღოლების მოსამზადებლად 1989-1990 სასწავლო წელს.

სასწავლებლად მიიღებიან 21 წლისა და მეტი ასაკის მქონე ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება.

სასწავლო კომბინატი ამზადებს ავტობუსებისათვის „დ“ კატეგორიის მეორე კლასის მძღოლებს. 120-ე პროფესიულ ტექნიკური სასწავლებელი კი „დ“ კატეგორიის მძღოლების გარდა ამზადებს ტრამვაისა და ტროლეიბუსების მძღოლებს. სწავლის ხანგრძლივობა ავტობუსის და ტრამვაის მძღოლთათვის 5 თვე, ტროლეიბუსის მძღოლისათვის კი 6 თვე, მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია თვეში 150 მანეთის ოდენობით. სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მძღოლები უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოებში. სასწავლებელში ჩარიცხვა იწარმოებს სასწავლო წლის განმავლობაში, სასწავლებელში ჩასარიცხად საჭიროა: განცხადება, საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), სამედიცინო ცნობა, შრომის წიგნაკი ან ცნობა უმუშევრობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ოთხი ფოტოსურათი 3X4, პასპორტსა და სამხედრო ბილეთს წარადგენს პირადად.

დაწვრილებითი პირობების გასაგებად მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ტელმანის ქ. № 8ა, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება (კადრების განყოფილება) ელსმენი: 34-61-27;
ქ. თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქ. № 3, სასწავლო კომბინატი, ელსმენი 78-86-89;
ქ. თბილისი, შაუმიანის ქ. № 63, № 120 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ელსმენი 74-59-06.

სპორტის ამბები

ფეხბურთის ტალღაზე

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ოცდამესამე ტურის გუშინწინდელი კალენდარული მატჩების შედეგები ასეთია: კიევის „დინამო“-„ტორპედო“ — 2:2, „არარატი“-მოსკოვის „დინამო“ — 0:0, „ლოკომოტივი“-„როტორი“ — 0:0, მინსკის „დინამო“-„მეტალისტი“ — 0:1, თბილისის „დინამო“-„ჩერნომორეცი“ — 0:0.

ქვემოთ გთავაზობთ გათამაშების ცხრილს, რომელშიც არ არის შეტანილი „პამირისა“ და „სპარტაკის“, აგრეთვე „შახტიორისა“ და „დნეპრის“ გუშინდელ შეხვედრათა შედეგები:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	22	14	7	1	42-14	35
„ჟალგ.“	23	12	5	6	31-22	29
„დნეპრი“	22	12	4	6	30-22	28
„დინ.“ კ	23	9	10	4	27-17	28
„მეტალ.“	23	9	8	6	24-20	26
„ტორპ.“	23	8	10	5	24-17	26
„ჩერნ.“	23	8	8	7	26-27	24
„დინ.“ მნ	23	9	5	9	27-24	23
„დინ.“ მ	23	7	9	7	26-21	23
„არარატი“	23	7	5	11	21-31	19
„როტორი“	22	6	7	9	18-23	19
„პამირი“	22	6	7	9	17-27	19
„დინ.“ თბ	22	4	10	8	17-22	18
„შახტ.“	22	7	3	12	16-23	17
„ლოკომ.“	23	4	6	13	12-26	14
„ზენიტი“	23	3	8	12	15-37	14

თბილისის „დინამოსა“ და „ჩერნომორეცის“ გუშინდელმა მატჩმაც, ისევე როგორც წინა შეხვედრამ „პამირთან“, ერთობ დამთრგუნველი შთაბეჭდილება შეგვიქმნა. ამ უგოლოდ დამთავრებულ მატჩში ერთის მხრივ ვიხილეთ თბილისელთაგან რამდენიმე საგოლე მომენტი, უიღბლობაც (უთუოდ გასახსენებელია, ქეცბაიამ ორჯერ ძელს რომ მოახვედრა ბურთი), მეორე ტაიმის გარკვეულ მონაკვეთში შესამჩნევი გააქტიურებაც (სამწუხაროდ, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია), მეორეს მხრივ კი ვიხილეთ დინამოელთა საკმაოდ დუნე თამაშიც. ყოველივე ამას ოდესელებმა დაუპირისპირეს დაცვაში ენერგიული და ზუსტი ურთიერთმოქმედება, რამაც მათ სტუმრად გამართულ ამ მატჩში ქულა მოაპოვებინა. ოდესელთათვის თუ ეს ერთი ქულა უთუოდ მნიშვნელოვანი აქტივია, დინამოელთათვის, რომლებიც გათამაშების ცხრილის მეტად სახიფათო ზონაში იმყოფებიან, დიდი ვერაფერი მონაპოვარია.

თბილისელი ფეხბურთელების ძველებურ პეწიან თამაშს დანატრებულ ქომაგებს ისღა დაგვრჩენია, რომ მათგან მეტი შემართება და, ის არც თუ დიდი პოტენციური შესაძლებლობები, ახლა რომ გააჩნიათ, იმის სრულად გამოვლენაც მოვითხოვოთ. განა შეხსენება უნდა იმას, რომ საქართველოს პრესტიჟისათვის თავგამოდებული ბრძოლა მათი ვალიცაა. ერთი სიტყვით, ძალების სრული დაძაბვაა საჭირო. შინ და სტუმრად დარჩენილ 4-4 მატჩში თუ ისეთივე მოდელით ვიბრძოლებთ, როგორც აქამდე (ძირითადად: შინ — ფრე, სტუმრად — წაგება), საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად უმაღლეს ლიგას გამოვემშვიდობებით!

ჯიმშერ ენუქიძე.

მოკლედ

ჭადრაკი. შვეციის ქალაქ შელეფტეოში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების ბოლო ეტაპის მეცამეტე ტურში გარი კასპაროვმა, რომელმაც უკვე გაინაღდა საერთო გამარჯვება, ყაიმით დაასრულა პარტია იასერ სეირავანთან (აშშ) და 8,5 ქულით ლიდერობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ანატოლი კარპოვი და ინგლისელი ნაიჯელ შორტი.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია — პარასკევი, 1 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „70 შეკითხვა“. 12.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სულხან-საბა ორბელიანი“. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ქართული მხატვრული ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“. 15.35 — საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „სოფელს ურჩხული სწვევია“. 17.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ექვსიდან ათამდე“. 17.35 — განცხადებები. 17.40 — მოსწავლეთათვის ჩვენი ჯაზ-კლუბი. 18.30 — სტუდია დიალოგი. 20.00 — მოამბე. 20.35 — ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს, გადაცემა II. 21.05 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. I ლიგა. ტკა — „გურია“ (ლანჩხუთი). ვიდეოჩანაწერი. 22.00 — ვრემია. 22.40 — ვიდეო, ვიდეო...

მეორე პროგრამა. 12.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ქართული მხატვრული ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“. 15.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 15.50 — მხატვრული ფილმი „ტყეებსა და მთებს იქით“. 17.00 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.35 — მხატვრული ფილმი „მესამე ურჩხული“. 18.45 — „მოგზაურობა ზღაპრებისა და ფათერაკების ქვეყანაში“. კინოკონცერტი. 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.00 — მოამბე. 20.35 — ფილმ-სპექტაკლი „კრაკოველები და მთიელები“. 22.00 — „ვრემია“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — დოკუმენტური ტელეფილმები სასწავლო წლის დაწყების გამო. 10.05 — „მიხაილო ლომონოსოვი“. მეორე ფილმის მეორე სერია. 11.20 — „ადამიანის ინსტიტუტი“. 12.20 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 13.05 — მულტფილმები. 13.40 — სასწავლო წლის დაწყების გამო. ტელემაყურებელთა კითხვებს უპასუხებს სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. იაგოდინი (განმეორებით). 16.30 — დოკუმენტური ფილმი „ცეცხლოვანი ქვიშა“. 18.00 — „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზი“. 18.45 — „მოგზაურობა ზღაპრებისა და თავგადასავლების ქვეყანაში“. კინოკონცერტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „გაფიცვის შემდეგ“. ტელენარკვევი. 20.20 — სსრკ სახტელერადიოს რუსული სიმღერის გუნდის ბაიანისტთა კვინტეტის კონცერტი. 20.40 — „მიხაილო ლომონოსოვი“. მეორე ფილმის მესამე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ეს იყო... იყო...“. 23.00 — „თვალსაზრისი“. 0.45 — მულტფილმები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ლიტერატურა. V კლასი. გამოცანა. 9.55 — დოკუმენტური ფილმი „ლურჯი მთების იქით“. 10.05 და 12.15 — ინგლისური ენა. 10.55 — უცხო ენები ტელევიზიით. 11.40 და 12.45 — გარემო სამყარო. I კლასი. 12.05 — ახალი ამბები. 13.05 — ფილმ-კონცერტი. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — მხატვრული ტელეფილმი „მივლინება“. III სერია. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — მხატვრული ტელეფილმი „გაფრენა ყოვნდება“. 19.25 — გრიგი. სიმფონიური ცეკვები. 20.00 — მულტფილმი. 20.15 — „ტბის პირას“ (ტაშკენტი). 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — რიტმული ტანვარჯიში. 21.45 — ხალხური მელოდიები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „მივლინება“. III სერია. 23.55 — საინფორმაციო გამოშვება. 0.10 — თანამედროვე ხუთჭიდ[illegible]ვაჟები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07921 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14